ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 2021 | №182 (8711) | ფასი: 60 თეთრი



თამარ ორდენიძე: „მე თქვენთვის სიცოცხლეს გვ.5 ვწირავ“

გვ.5

გახარიას პარტიის წევრი ვასილ პაპაშვილი ქურდობისთვის დააკავეს

კახა კალაძე: „მამაჩემი ორდენიძეებს არ იცნობს“

„მიხეილ სააკაშვილსაც თუ დაიჭერენ, მას რეიტინგი მხოლოდ მოემატება“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა და ერთ წელიწადში გაიქცა, სააკაშვილი კი სულით ხორცამდე პოლიტიკოსია“

გვ.2

„პრეზიდენტ ზურაბიშვილის აზრი კოალიციური მთავრობის შესახებ სწორია“

გია ხუხაშვილი: „ეს არ ნიშნავს, რომ ის ოპოზიციაში გადადის“

„სააკაშვილის ჩამოსვლის მე არ მეშინია“

ანზორ ბიწაძე: „სალომე ზურაბიშვილის განცხადებით ივანიშვილი დასავლეთს ეფლირტავება“

გვ.3

გვ.3

ოკუპირებული აფხაზეთი რუსეთ-ბელარუსის კავშირში შეჰყავთ?

„ოცნება“ და ნაცმოძრაობა სიამის ტყუპები არიან“

გვ.4

თენგიზ დიხამინჯია: „სახელმწიფოს დესუვერენიზაცია კატასტროფული სიჩქარით რომ მიმდინარეობს, 99% ხელისუფლების ბრალია“

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საქართველოში ნატოს 5 ხომალდს მასპინძლობს

გვ.2

ISSN 1987-9385

2 სოსო გოგაშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ „მთავრობა არჩევნებში ძალიან ბევრ შავ ფულს ხარჯავს“

2 გირჩის პორშე ჯუბა გრიგოლიამ მოიგო

5 პროკურატურამ ჯაფარიძის, ხაზარაძისა და წერეთლის საქმეზე მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა

6 რუსეთში ნავალნის წინააღმდეგ ახალი საქმე აღიძრა

„პრეზიდენტ ზურაბიშვილის აზრი კოალიციური მთავრობის შესახებ სწორია“

გია ხუხაშვილი: „ეს არ ნიშნავს, რომ ის ოპოზიციაში გადადის“

იაგო ნაცვლიშვილი

ჩამოვა თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში და რაზეა ეს დამოკიდებული? ხომ არ ჩნდება სამოქალაქო დაპირისპირების რისკი არჩევნების შემდეგ? რა მოლოდინი აქვს და ვინ არის ამ არჩევნებზე მთავარი ფაქტორი — სააკაშვილი თუ გახარია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

– როგორ ფიქრობთ, ამჯერად მაინც ჩამოვა სააკაშვილი მას შემდეგ, რაც მან გამოაქვეყნა თვითმფრინავის ბილეთი?

– საერთოდ არ ვფიქრობ მაგაზე. ჩამოვა? – ჩამოვა, არ ჩამოვა? – არ ჩამოვა.

მე ვფიქრობ, ჩამოვა იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა გარკვეული მოცემულობა.

– ანუ თუ დაინახავს, რომ „ქართული ოცნება“ აგებს არჩევნებს?

– არა, ეს დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ არჩევნების შედეგებზე, არამედ იმაზეც, რა მდგომარეობაში იქნება ხელისუფლება, დემორალიზებული იქნება თუ მყარად იდგება იმ მომენტისთვის. რამდენად მასშტაბური იქნება გაყალბებისა და მამაძაღლობის ხარისხი, რა მოცემულობა იქნება არჩევნების შემდეგ.

– თუმცა, არა მგონია, რომ მომენტისთვის, რა დროსაც მოფრინავს ბილეთის მიხედვით, ეს ყველაფერი ნათელი იყოს.

– არა, ძირითადად ნათელი იქნება, იმიტომ, რომ 8 საათზე იკეტება უბნები და გამოცხადდება ეგზიტპოლების შედეგები. როგორც წესი, ეგზიტპოლების შედეგები საბოლოო ჯამში მართლდება.

– არჩევნების შემდეგ რა გველოდება?

– მე გითხარით, რომ ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჯერ არ ვიცით, რაზეა წამსვლელი ხელისუფლება, რა შედეგი და მოცემულობა დადგება, რამდენად მასშტაბური იქნება გაყალბება. სამწუხაროდ, ეს ისეთი ტიპის არჩევნებია, როდესაც არჩევანის ფასი ძალიან მაღალია, მაგრამ შედეგი ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

– პრემიერმა აღიარა, რომ ხალხის მობილიზებას აპირებენ. ეს რას გამოიწვევს?

– ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ეს არის შულერული თამაში. ის იქიდან აცხადებს, ესენი აქედან აცხადებენ. ეს ისტორია რამდენჯერ გვაქვს ნანახი. ერთგვარი სიმბიოზია, ერთმანეთს კუნთებით ეთამაშებიან და უნდათ, რომ ჩვენ ცხვრებივით გავაკეთოთ არჩევანი ცუდსა და უარესს შორის.

– თქვენ სამოქალაქო დაპირისპირების რისკს ვერ ხედავთ?

– როგორც ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირება არ იქნება.

– პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ კოალიციური მთავრობა უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტი საბოლოოდ დისტანცირდება მმართველი პარტიისგან?

– ის ცდილობს, შეასრულოს თავისი კონსტიტუციური მოვალეობა და თავისი სახელმწიფოებრივი ხედვები წარმოადგინოს. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რადგან ეს თქვა, ოპოზიციონერი გახდა. ორჯერ ორი რომ ოთხია, ეს შეიძლება თქვას ორმა რადიკალურად დაპირისპირებულმა პარტიამ.

– კალაძემ თქვა, რომ ეს სალომე ზურაბიშვილის გადასაწყვეტი არ არის. რატომღაც ასე გაიგეს, რომ პრეზიდენტმა ასე გადაწყვიტა?

– არ ვიცი, რას ბოდიალობენ. კალაძე ცალკე საკითხია. რა თქმა უნდა, ხალხის გადასაწყვეტია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, რასაც მე პირადად ვეთანხმები. ეს არის და მეტი არაფერი. ბუნებრივია, რომ სალომე ზურაბიშვილი ვერ გადაწყვეტს. შეიძლება, მათ ახლა გაიგეს და ჩვენ დიდი ხანია ვიცით. შეუძლიათ, დაწყნარდნენ.

– მოლოდინი არსებობს სააკაშვილის მიმართ, ასევეა გახარიაზეც. დღეს ხელისუფლება გახარიას უფრო ებრძვის. ვინ არის ყველაზე დიდი ფაქტორი ამ არჩევნებზე?

– გახარიაა მათი კონკურენტი, მასთან აქვთ ელექტორალური ბრძოლა და ამიტომაც ებრძვიან.

– გამოუვათ თამაში, რომ გახარია სააკაშვილთან არის შეკრული ან, როგორც თქვეს, კომპრომატები აქვს სააკაშვილს გახარიაზე. ხალხი დაიჯერებს ამას?

– ძალიან ბრიყვი უნდა იყო, რომ ეს დაიჯერო. ნაცმოძრაობა პირიქით ამბობს, ბიძინას პროექტიაო და რომელს დავუჯეროთ?!

– თავად გახარიამ თუ გასცა მთავარ კითხვებს პასუხი?

– გახარია არ არის ანგელოზი. შესაბამისად, მას ყველა კითხვაზე პასუხი არ აქვს და არც შეიძლება, ჰქონდეს, მაგრამ ის მაქსიმალურად ცდილობს, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი იყოს და გარკვეულ შედეგებს იღებს კიდეც.

– გასაგებია, რომ ამ არჩევნებზე რაღაც წარმატება ექნება, მაგრამ, თუ უნდა, რომ მართლაც მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს ქვეყნის ცხოვრებაში, მოუწევს თუ არა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა?

– მე ადრე ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა მთლიანად კომპრომეტირებულია და გახარია სხვებზე მეტად არ არის კომპრომეტირებული. მას აქვს თავისი ხედვები ამ კითხვებთან დაკავშირებით და ის ამ კითხვებს პასუხობს. სხვა საკითხია, რომ ვიღაცას ეს პასუხი შეიძლება აკმაყოფილებდეს ან არა. ამასაც ვუყურებთ. კი ბატონო, კითხვებზე პასუხები შეიძლება იყოს დამაჯერებელი ან ნაკლებად დამაჯერებელი და ეს უნდა შეაფასოს ამომრჩეველმა. ასე ხდება. მონანიება და თავზე ნაცრის დაყრა თუ გინდა, მაშინ პოლიტიკაში რა გინდა?!

– რა მოლოდინები გაქვთ საარჩევნო პროცესისგან?

– არანაირი მოლოდინი არ მაქვს. ბევრი ფაქტორი მოქმედებს და მოვლენების პროგნოზირება სწორი არ იქნებოდა.

– მშვიდად ჩაივლის ყველაფერი?

– ჩვენ თუ გვაქვს მოლოდინი, რომ არჩევნების დღეს მთავრდება პროცესი, ეს ასე არ არის. არჩევნების დღეს იწყება პროცესი. მშვიდად რას ჰქვია?! მშვიდობა ამ ქვეყანაში არც არასდროს ყოფილა, თუმცა არც ხელჩართულ ომში ვყოფილვართ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მიღწევადია შედეგი და, მე ვფიქრობ, რომ რიგგარეშე არჩევნების გარეშე მუდმივად არასტაბილურობაში ვიქნებით. ამავე დროს, რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს აბსოლუტურად გამჭვირვალედ და კონკურენტულ გარემოში.

– დადგება რიგგარეშე არჩევნების მოცემულობა, ანუ 43%-ს ვერ აიღებს „ოცნება“?

– ისევ პროგნოზს მთხოვთ. რასაც მე ვუყურებ, ვერ უნდა მიიღოს. მაგრამ ერთია მიღება და მეორე – დაწერა. მე არ ვიცი, რაზეა წამსვლელი ხელისუფლება.

„გახარია ანგელოზი არ არის, თუმცა ცდილობს, დამაჯერებელი იყოს“

სოსო გოგაშვილი „ოცნების“ წინააღმდეგ

„მთავრობა არჩევნებში ძალიან ბევრ შავ ფულს ხარჯავს“

შავი ფული არჩევნების გაყალბებისთვის – სუსის უფროსის ყოფილი მოადგილე, სოსო გოგაშვილი, სკანდალურ განცხადებას აკეთებს.

გოგაშვილმა „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და ყოფილი თანაგუნდელების სქემაზე ისაუბრა.

– მივმართავ ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს, რომლებიც ბოლშევიკური სისტემის ტყვეობაში არიან. ეცადონ, რომ რაც შეიძლება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩაატარონ, თუმცა ამაში მე დიდად დარწმუნებული არ ვარ. „ქართულ ოცნებას“ ვეტყვი, რომ თუ მათ, უნდათ პოლიტიკურ ველზე დარჩნენ, ცვლილების შემდეგ პოლიტიკური სექტორი შეინარჩუნონ, ჯობია, ძალადობა შეასუსტონ და ეს სისტემა დაივიწყონ, რაც აქამდე იყო, – განაცხადა გოგაშვილმა.

მისი თქმით, თვითმმართველობის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ დიდ ფინანსებს ხარჯავს, მათ შორის, შავ ფულსაც:

– ძალიან ბევრი ფული იხარჯება, გაცილებით მეტი, ვიდრე ეს ოფიციალურია, ეს არის შავი ფული. მინდა, მივმართო ამომრჩეველს, ეს თანხა თქვენთვისაა გამოყოფილი, თქვენ გეკუთვნით და თავისუფლად შეგიძლიათ, ხელი მოკიდოთ და აიღოთ, რადგან თქვენ გეკუთვნით, თქვენ გაგძარცვეს.

თითო ადამიანზე 300-დან 500 ლარამდეა გამოყოფილი, აქ არ იგულისხმება ადამიანი, ვინც მხარს „ოცნებას“ უჭერს მხარს. ეს ფული გათვლილია მათზე, ვინც ყოყმანობს, არჩევნებზე არ მიდის ან საშუალო განწყობისაა, – ამბობს გოგაშვილი.

„სახალხო პარტიის“ ლიდერმა ამომრჩეველს მიმართა, რომ ფული აიღონ, საარჩევნო უბანთან კი ის შემოხაზონ, ვინც მათ შეხედულებებთან ახლოს დგას.

– მინდა, ხალხს, ამომრჩეველს, მივმართო – გატეხონ შიში, ნუ შეუშინდებიან იმ ძალადობას, სამსახურიდან გათავისუფლებისა და სოციალური დახმარების მოხსნის მუქარას. გაბედულად მივიდნენ საარჩევნო უბნებთან და შემოხაზონ ის, ვინც მათ იდეოლოგიასთან ყველაზე ახლოს დგას. ხმა მიეცით, ვისაც გინდათ და არა იმას, ვისზეც გაშინებენ, – თქვა გოგაშვილმა.

4 ოქტომბრიდან სწავლა საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში განახლდება

4 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში განახლდება, – ამის შესახებ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერაციული შტაბის უფროსმა გიორგი ღიბრაძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– 4 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში განახლდება. ასევე მუშაობას განაახლებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ბავშვთა გასართობი ცენტრები, – განაცხადა ღიბრაძემ.

გირჩის პორშე ჯუბა გრიგოლიამ მოიგო

„გირჩის“ „პორშე“ გათამაშებულია – პარტიამ საპარლამენტო არჩევნებზე გაცემული პირობა შეასრულა.

„გირჩის“ გათამაშების გამარჯვებული ჯუბა გრიგოლია გახდა, რომელმაც გათამაშების ყველა პირობა შეასრულა – სოციალურ ქსელში საჯაროდ ატვირთული ჰქონდა ფოტო, რომელიც მის არჩევნებზე მისვლას ადასტურებდა. ამასთან, „გირჩის“ ლიდერების სატელეფონო ზარსაც უპასუხა.

იქამდე, ამ პირობების შეუსრულებლობის გამო, 4-მა მოქალაქემ „პორშეს“ მოგების შანსი ხელიდან გაუშვა.

პარტია ძვირადღირებულ ავტომობილს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც ათამაშებს.

გათამაშებაში 3 ათას 800-მდე მოქალაქე მონაწილეობდა.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საქართველოში ნატოს 5 ხომალდს მასპინძლობს

საქართველოში ტერიტორიულ წყლებში ნატოს ხომალდები შემოვიდნენ. ნატოს მუდმივმოქმედ მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთს (SNMCMG2) შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი მასპინძლობს. შენაერთის შემადგენლობაშია: ესპანეთის (ფლაგმანი), იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები. შენაერთს პირველი რანგის კაპიტანი ხავიერ ნანეზ დე პრადო მეთაურობს.

ბათუმის პორტში ნატოს ხომალდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი და ნატოს სამხედრო მეკავშირე ოფიცერი, პოლკოვნიკი რუშენ აბიდინოღლუ დახვდნენ.

ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) ვიზიტი ნათლად ადასტურებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხარდაჭერას საქართველოს ნატოში გაწევრიანების კურსისადმი. საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა ნატოსთან აძლიერებს შავი ზღვის უსაფრთხოებას და ხელს უწყობს სტაბილურობას რეგიონში.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტისა და ნატოს საზღვაო შენაერთის ხომალდების მონაწილეობით, შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნები გაიმართება. სწავლება მიზნად ისახავს საქართველოს და ნატოს საზღვაო ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა გაძლიერებას. ასევე, დაგეგმილია სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ჯგუფების ნატოს სერტიფიცირების მეორე დონის შეფასების მეორე საფეხური [NEL-2] გავლა, რაც შეფასების 4-წლიანი პროცესის ბოლო ფაზას წარმოადგენს.

ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს და, შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია. 2021 წელს ნატოს ხომალდები საქართველოს უკვე მეორედ სტუმრობენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მიხეილ სააკაშვილსაც თუ დაიჭერენ, მას რეიტინგი მხოლოდ მოემატება“

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა და ერთ წელიწადში გაიქცა, სააკაშვილი კი სულით ხორცამდე პოლიტიკოსია“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა თუ არჩევნების შედეგებს დაელოდება და, თუ მისთვის მისაღები შედეგი არ იქნება, ჩამოსვლას გადაიფიქრებს?

– არჩევნების შედეგები არჩევნებამდე უკვე დამდგარია და ამას ისე არ ვამბობ, ჩემი გამოცდილებით გეუბნებით. ვერც ერთი ხელისუფლება რვა წელიწადზე მეტს ვერ ძლებს. 2020 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ „ქართული ოცნება“ დაღმავალი გზით მიდის და 2 ოქტომბერს დასრულდება. დროს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგებს. თავის დროზე ვერც მიხეილ სააკაშვილმა მოუგო.

მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა 2 ოქტომბერს, საღამოს რვა საათსა და 20 წუთზე თუ 3 ოქტომბერს, გამთენიისას, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. საქართველოს მოქალაქის ნებაზეა დამოკიდებული, შეცვლის თუ არა ხელისუფლებას.

მე შემიძლია, ღიად ვთქვა, მიხეილ სააკაშვილი, როგორც მაღალი კლასის პოლიტიკოსი, გამოსაყენებელია ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. მას აქვს უზარმაზარი გამოცდილება, ავტორიტეტი და ის უნდა გამოვიყენოთ. თუნდაც ის, რომ ასე აქტიურობს, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სააკაშვილი პოლიტიკისთვის არის დაბადებული. მოდის არა იმიტომ, რომ ვინმე დაჩაგროს, მოდის იმიტომ, რომ პოლიტიკურ კონკურენციაში შევიდეს „ქართულ ოცნებასთან“. კონკურენცია კი ქვეყნის გადარჩენის გზაა. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, მსხვილმა, წვრილმა თუ საშუალომ, ეს მოცემულობა უნდა მიიღოს.

– მიხეილ სააკაშვილის განცხადება ჩამოსვლაზე ცალსახად იქნება მისი ამომრჩევლის მამობილიზებელი, მაგრამ ასევე ხომ არ იქნება „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის?

– ბიძინა ივანიშვილი 43%-ს ვერ გადალახავს. ეს გამორიცხულია. შესაბამისად, 2 ოქტომბრის საღამოს, 20 საათსა და ხუთ წუთზე, ჩვენ ვიდგებით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების წინაშე.

მინდა, ყურადღება გავამახვილო პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე. ირაკლი ღარიბაშვილის ეს განცხადება ერთი-ერთში ჰგავს ასლან აბაშიძის განცხადებას. ყველას ახსოვს, როდესაც შევარდნაძის საწინააღმდეგო მიტინგები იმართებოდა რუსთაველზე, ასლან აბაშიძის თაოსნობით როგორ ეწყობოდა ალტერნატიული მიტინგები. წკიპზე მყოფ ხელისუფლებას არც ალტერნატიული მიტინგები შველის და არც არაფერი. ღარიბაშვილმა ასლან აბაშიძის სტილი აითვისა. როგორც ჩანს, მხოლოდ ეს გაკვეთილი ისწავლა, სამწუხაროდ. ეს არის ამ ხელისუფლების დამარცხების ფორმულა. ამ ქვეყანაში ყველას კარგად ახსოვს, როგორ დასრულდა „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინების კავშირი“. მე არ ვურჩევდი ირაკლი ღარიბაშვილს მათი ბედის გაზიარებას. თუ უნდა, რომ „ქართული ოცნებაც“ დასრულდეს, ნება მისია. თუ უნდათ ალტერნატიული მიტინგები, შეაგროვონ მომხრეები, მაგრამ ეს „ოცნების“ დასრულებას გამოიწვევს და არა დამარცხებას. საერთოდ დასრულდებიან.

– ღარიბაშვილმა თქვა, როგორც კი მოუახლოვდება საზღვარს, ავიყვანთ და ციხეში გაუშვებთო. თუ დააკავეს?

– დაჭერილი მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი დავარდება თუ რა მოხდება?! ის ამომრჩეველი, რომელიც მას ენდობა, ენდობა ციხეშიც, უკრაინაშიც და ამერიკაშიც. ნიკა მელიაც დაიჭირეს და რა მერე?! დღეს პარლამენტის წევრი და პოლიტიკური ლიდერია. დაჭერით ნიკა მელიამ რამე დაკარგა?! არც არაფერი. პოლიტიკურად უფრო ძლიერია, ვიდრე დაკავებამდე იყო. მიხეილ სააკაშვილსაც თუ დაიჭერენ, მას რეიტინგი მხოლოდ მოემატება. პოლიტიკოსისთვის ციხე არ არის ტრაგედია. მანდელა 28 წელი იჯდა და მერე გახდა პრეზიდენტი.

– რამდენად არის მზად ციხისთვის?

– სააკაშვილი მზად არის, სახელმწიფოს ემსახუროს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

– ტექნიკურ ნაწილს რომ დავუბრუნდეთ, ხალხის მობილიზება იქნება აეროპორტში?

– არავითარი მობილიზება არ იქნება. გეტყვით, რაც მოხდება: ლოკალურ ადგილზე



მისი მხარდამჭერები იქნებიან, რათა მხარდაჭერა გამოუცხადონ. მე ნამდვილად დავხვდები, ეს შემიძლია გითხრათ. რაც შეეხება მობილიზებას, მობილიზება იქნება 2 ოქტომბრის რვა საათზე საარჩევნო ურნებთან.

– თუ სააკაშვილი მართლაც ჩამოვა და ღიად ჩაერთვება პროცესებში, ხომ არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილიც გამოვა პოლიტიკურ ასპარეზზე?

– გამოვიდეს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი. მოვიდა ხელისუფლებაში და ერთ წელიწადში გაიქცა. მას არ აინტერესებს პოლიტიკა. ის არ არის პოლიტიკოსი. მიხეილ სააკაშვილი კი სულით ხორცამდე პოლიტიკოსია. ის ყოველდღე პოლიტიკით ცხოვრობს. ივანიშვილის მიზანი კი სულ სხვაა. ამიტომ მათი შედარება შეუძლებელია.

„სააკაშვილის ჩამოსვლის მე არ მეშინია“

ანზორ ბიწაძე: „სალომე ზურაბიშვილის განცხადებით ივანიშვილი დასავლეთს ეფლირტავება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.

– ანზორ, სამიოდე დღე რჩება არჩევნებამდე და საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ფონია ქვეყანაში. კომპრომატების კორიანტელი, ლანძღვა-გინება. ოპოზიციის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს არჩევნები წაგებული აქვს „ოცნებას“ და ხმების 40%-საც კი ვერ აიღებს. რას ფიქრობთ თქვენ?

– პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ უბრალოდ გულის ამრევია ის წინასაარჩევნო გარემო, რომელიც მივიღეთ. პოლიტიკური კრიზისი არ განმუხტულა და არსად წასულა. იმის გამო, რომ შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოეწერა და პოლიტიკოსების ნაწილი პარლამენტში აღმოჩნდა, ეს ვერ განმუხტავდა პოლიტიკურ კრიზისს. 2020-ის არჩევნებზე მისული ხალხის არჩევანი არ იყო ვინმეს პარლამენტში შესვლა. მათი არჩევანი ცვლილებები იყო. სწორედ ამიტომაც მივიღეთ ისეთი წინასაარჩევნო გარემო, როგორიც გვაქვს. აი, ასეთი აღვირახსნილი კამპანია – საიდუმლო ჩანაწერების გავრცელება, ბინძური პროვოკაციები, ერთმანეთის კომპრომეტირება. სამწუხაროა, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, რომ გვაქვს ველური წინასაარჩევნო გარემო, ველური პოლიტიკური სიტუაცია მივიღეთ ქვეყანაში და პოლიტიკურ კულტურაზე ლაპარაკი საერთოდ აღარ გვიწევს. ეს ქვეყნისთვის არის ცუდი, თორემ, ახლა ვინც პოლიტიკაში ვართ, იმ ადამიანებმა, ზოგმა მეტი და ზოგმა ნაკლები, ისეთი გზა გამოვიარეთ, რომ როგორმე გადავიტანთ ამასაც. ზოგადად ქვეყნისთვის არის ეს ყველაფერი ძალიან ცუდი. აღარ დადგა ის დრო, რომ ველური არჩევნები არ ტარდებოდეს. ერთი მხრივ, ვიზიარებ ჩემი კოლეგების ოპტიმიზმს, იმიტომ, რომ არ შეიძლება, ყველა სახისა და დასახელების სოციოლოგია თანაბრად ტყუოდეს.

– გაუჭირდებათ არჩევნების მოგება?

– რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ არ უჭერს მხარს მოსახლეობის ის რაოდენობა, რომ ხმების უმრავლესობა აიღონ. ასეთი მხარდაჭერა მათ არ აქვთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მე, პირადად, ზუსტად ვარ ინფორმირებული უბნების მიხედვით და ეს ჩემი კოლეგების ნაწილს მაინც ეცოდინება, რომ მიმდინარეობს ყველა მექანიზმის გამოყენება.

– რას გულისხმობთ?

– ეს არის მოსყიდვა, ადამიანების დაშინება, ადამიანებთან გარიგებაში შესვლა, საუბნო კომისიების ე.წ. გამწვანება. იქნება არა მარტო გაყალბება, არამედ მობილიზება არასწორი მეთოდებით. ბევრს ჰგონია, რომ გაყალბება მხოლოდ არჩევნების დღეს ხდება, როდესაც უბნებზე მაქინაციებს სჩადიან. წინასწარ ხდება უბნების გამწვანება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უბანზე კომისიის წევრების უმეტესობა დაკომპლექტებულია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. მე არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ეს არჩევნები სრულყოფილად და დემოკრატიულად ასახავს ქართველი ხალხის ნებას და, სავარაუდოდ, მოგვიწევს ამ ყველაფრის გაპროტესტება.

– სწორედ ამაზე საუბრობს ხელისუფლება, რომ ოპოზიცია არა არჩევნების დღისთვის, არამედ 3 ოქტომბრისთვის ემზადება. ასეა?

– მე ასეთ განცხადებებს ყოველთვის არასერიოზულად ვუყურებ. თუ ადამიანი პოლიტიკაში ხარ, 2 ოქტომბრისთვისაც უნდა მოემზადო, სამისთვისაც და ოცისთვისაც. ყოველთვის მზად უნდა იყო, რომ სიტუაციის ადეკვატურად იმოქმედო. ასე რომ, ოპოზიცია ემზადება 3 ოქტომბრისთვისაც, მათ შორის, თუ ხალხის ნება არა იქნება ასახული შემაჯამებელ ოქმებში. ამაში, ჯერ ერთი, არც საიდუმლოა რამე და არც გასაკვირი. უკეთ რომ მომზადებულიყო ოპოზიცია 2020-ის საპარლამენტო არჩევნების მეორე დღისთვის, შესაძლოა, ასეთი პრობლემები აღარ გვქონოდა. ასე რომ, არაფერი ცუდი იმაში არ არის, თუ ვინმე 3 ოქტომბრისთვის ემზადება.

– ანზორ, როგორ გაიგეთ პრეზიდენტის განცხადება, რომ აუცილებელია კოალიციური მთავრობა? ეს საით მიანიშნებს?

– ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, ვინაიდან მე არ მაქვს საფუძველი, ვივარაუდო, რომ ქალბატონი პრეზიდენტი მოქმედებს ბიძინა ივანიშვილისგან დამოუკიდებლად, ამ ეტაპზე ეს ყველაფერი ჩემში ტოვებს თამაშის შთაბეჭდილებას, რომ, ერთი მხრივ, საერთაშორისო მეგობრობასა და პარტნიორებს,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ოკუპირებული აფხაზეთი რუსეთ-ბელარუსის კავშირში შეჰყავთ?

ვახტანგ ფიფია: „თბილისიდან სამშვიდობო წინადადებები არ ყოფილა“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის რომელიმე კავშირში შესვლის შესაძლებლობა პირველად რამდენიმე თვის წინ ახსენა დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ. ცხადია, მას მხედველობაში ჰქონდა ის კავშირი, სადაც რუსეთია გაწევრიანებული. იმავე დროს აფხაზურ ოფიციოზში გაჩნდა ერთი მეცნიერის სტატია იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია აფხაზეთის შესვლა რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში.

როგორც ჩანს, დადგა ამ საკითხზე ნიადაგის მოსინჯვის დრო. ცოტა ხნის წინ რუსეთში გაიმართა ამაზე მსჯელობა. აფხაზური მხარის (დიდი ალბათობით, ხელისუფლებასთან შეთანხმებით) პოზიცია გაახმოვანა „საერთაშორისო საქმიანი თანამშრომლობის ფონდის“ ხელმძღვანელმა ვახტანგ ფიფიამ.

მან ისაუბრა იმაზე, რომ იმ სანქციების პირობებში, რომლებიც დასავლეთმა აფხაზეთს საქართველოს პოზიციის გამო დაუწესა, აფხაზეთში რთულია ინვესტიციების დაბანდება. იმისთვის, რომ ინვესტიციები შემოვიდეს, სასურველია ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, კერძოდ, რუსეთ-ბელარუსის კავშირის, ასევე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მიმართულებით.

ვახტანგ ფიფიამ სატრანსპორტო პერსპექტივასა და აფხაზეთის საკვანძო მდებარეობაზე ილაპარაკა. მისი თქმით, აქ გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა, ასევე – ლონდონ-დელის ტელეგრაფი.

აფხაზეთში თვლიან, რომ ყარაბაღის მოვლენების დამთავრების შემდეგ ახალი რეალობის გამო გაჩნდა ახალი შესაძლებლობები კავკასიაში. რამდენიმე თვის წინ აფხაზეთის პარლამენტმა რუსეთის სახელმწიფო დუმას პეტიცია გაუგზავნა ახალ თუ აღდგენილ სატრანზიტო და ეკონომიკურ პროექტებში აფხაზეთის ჩართვის შესახებ. გამოითქვა თბილისთან თანამშრომლობის სურვილიც.

„საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების“ გაფორმების აუცილებლობას ხაზი გაუსვა ვახტანგ ფიფიამ. თბილისთან სატრანზიტო თანამშრომლობაზე მანაც ისაუბრა. მისივე თქმით, ქართველები მტრად არ მიაჩნია. საქართველოს ხელისუფლება არ იჩენს ინტერესს აფხაზებთან ურთიერთობის მხრივ. თბილისიდან სამშვიდობო წინადადებები არ ყოფილა.

ფიფია ამბობს, რომ რუსეთმა უზრუნველყო აფხაზეთის უსაფრთხოება, თუმცა პროცესები ვითარდება და საჭიროა სხვა ნაბიჯების გადადგმა.

აფხაზეთის ინტეგრაციის იდეა რუსეთ-ბელარუსისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შემადგენლობაში მოსწონს „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ ვლადიმირ ლეპეხინს.

ამასთან, იგი აცხადებს, რომ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა უფრო მარტივად გადაწყდებოდა – აფხაზეთში ჩატარდებოდა რეფერენდუმი ამ საკითხზე და რუსეთში განიხილავდნენ მის შედეგებს. რუსეთ-ბელარუსის კავშირის შემთხვევაში აზრი მინსკსაც უნდა ჰკითხო, ლუკაშენკო კი რთული მომლაპარაკებელია.

რუსი ექსპერტი იმდენს ხვდება, რომ აფხაზეთით თამაში რუსეთს ძვირად დაუჯდება და აცხადებს, რომ რუსი დიპლომატები მოერიდებიან დასავლეთის განაწყენებასა და საქართველოს წინააღმდეგ წასვლას.

ექნება თუ არა განვითარება აფხაზეთის რუსეთ-ბელარუსის კავშირში შეყვანის იდეას, მომავალში გამოჩნდება.

დღეს აფხაზეთს ეკონომიკურადაც უჭირს და პოლიტიკურადაც. ახლახან სოხუმში „გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის“ დღე აღნიშნეს. ზეიმს დაესწრო კიდევ ერთი ოკუპირებული რეგიონის – ცხინვალის რეგიონის „პრეზიდენტი“ ანატოლი ბიბილოვი. მან გამოაცხადა, რომ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარება შეუქცევადი პროცესია. სირიის მიერ მათი ცნობა ამას ადასტურებს. ამ მიმართულებით რუსეთიც აქტიურად მუშაობს.

მოსკოვში მყოფი ვიცეპრემიერი, ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი აფხაზეთის გაზიფიკაციისა და სოხუმის აეროპორტის რეაბილიტაციის გარდა, საუბრობს აფხაზეთის კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან. ეს აფხაზეთის ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯია.

მოსკოვში, როგორც ჩანს, აფხაზეთის სხვაგვარი ანექსიაც იგეგმება, რასაც ჰყავს მომხრეები აფხაზეთშიც.

„ოცნება“ და ნაცმოძრაობა სიამის ტყუპები არიან“

თენგიზ დიხამინჯია: „სახელმწიფოს დესუვერენიზაცია კატასტროფული სიჩქარით რომ მიმდინარეობს, 99% ხელისუფლების ბრალია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, 27-30 სექტემბერი სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის დაკარგვის დღეებია. რა გაქვთ დღეს სათქმელი? რატომ განვიცადეთ ასეთი დიდი კატასტროფა დამოუკიდებლობის პირველივე წლებში?

– 27 სექტემბერი ტრაგიკული თარიღი და უდიდესი ტკივილია საქართველოს ისტორიაში. მე იმ პროცესის უშუალო მონაწილე ვიყავი. ჩვენი მთავარი უბედურება ის იყო, რომ ერთიანობა დაირღვა და ეროვნული სხეული ვერ გამთლიანდა. ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავეკიდეთ, ქვეყანა სამოქალაქო კონფრონტაციაში გავხვიეთ და სოხუმი დაეცა.

ისე, სოხუმი მაშინ დაეცა, როდესაც რუსთაველზე პირველი ტყვია გავარდა. რაც შემდეგ მოხდა, გამოვლინება იყო იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც ლეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოხდა. საერთო ენა ვერ გამონახეს და პროცესი სისხლიან დაპირისპირებაში გადავიდა. რუსებმაც და აფხაზებმაც ეს მომენტი კარგად გამოიყენეს.

მათ გამოიყენეს ჩვენი სახელმწიფოებრივი მოუმწიფებლობა, რაც პოლიტიკურ კულტურასთან არის დაკავშირებული. ამ უდიდესი ტრაგედიიდან დასკვნები თუ არ გაკეთდა, გაცილებით დიდი კატასტროფა გველის, ვიდრე სოხუმის დაცემაა. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

– რას გულისხმობთ?

– სახელმწიფოს დესუვერენიზაცია კატასტროფული სიჩქარით მიმდინარეობს, ოპოზიცია და ხელისუფლება ვერ თანხმდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები გარკვეული დირექტივებითა თუ შეთავაზებებით ჩაერივნენ.

– ვისი ბრალია? ოპოზიციას რომ არ სურს შეთანხმება?

– 99% ხელისუფლების ბრალია. ცხადია, ოპოზიციას თავისი ცოდვები აქვს, მაგრამ ამ პროცესში მისი ბრალეულობა მცირეა. ამიტომ დესუვერენიზაცია გვემუქრება. თუ ვერ გავმართეთ ინსტიტუტები, ვერ ჩამოვყალიბდით, თუ ვერ შევქმენით კონსტიტუციური წესრიგი, კონსტიტუცია ერთობლივად თუ ვერ მივიღეთ, მოქალაქეების უმრავლესობა თუ არ დავარწმუნეთ, რომ ჩვენ ამის გაკეთების უნარი გვაქვს, დესუვერენიზაციის პროცესი კატასტროფულად გაიზრდება.

მომავლის თვალსაზრისით კიდევ უფრო შავ კონტურებს ვხედავ. ახლა არჩევნებია მოახლოებული. ძირითადად პრობლემები არჩევნებს უკავშირდება. ხაჯიმბას ე.წ. ხელისუფლებას, რომელმაც გააყალბა არჩევნები, ოპოზიციამ უჩივლა ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ხაჯიმბა პუტინის დანიშნული იყო, თვითონ რუსეთსაც მოუწია უკანდახევა, დარღვევების აღიარება და არჩევნების ხელახლა დანიშვნა. შედეგად ხაჯიმბამ წააგო და ახლა ბჟანიაა.

– ბჟანიაა, მაგრამ უკეთესს რას აკეთებს?

– ჩვენ კი ამდენი წლის განმავლობაში ვერანაირი დასკვნები ვერ გამოვიტანეთ მომხდარი ტრაგედიებიდან – სახელმწიფო გადატრიალებიდან და 27 სექტემბრიდან. პროცესები კიდევ უფრო ღრმავდება. უფსკრული, რომელიც მოსახლეობასა და მმართველ პოლიტიკურ ძალებს შორისაა, კიდევ უფრო იზრდება.

თუ გინდა, აფხაზეთი მოიმხრო და შემოიერთო, კონსტიტუციურად, სახელმწიფოებრივად უნდა ვუჩვენოთ სახელმწიფოებრივი კულტურის მაგალითი. ამბოხებული რეგიონები, კონკრეტულად აფხაზები, ჩვენზე მაღლა დგანან.

– რით დგანან ჩვენზე მაღლა?

– ვადამდელი არჩევნების დანიშვნისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ზემოქმედების, სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედების თვალსაზრისით, ეს კიდევ ახალი ტრაგედიის შეგრძნებას ბადებს.

– ვადამდელი არჩევნები რომ დაინიშნოს, უკეთეს შედეგს მივიღებთ?

– მე არ მაქვს იმედი. რას მივიღებთ, ცალკე საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ის სტატუსკვო, რომელიც არსებობს, ჭაობზე უარესია. მოსმენების ინსტიტუტმა ხომ საერთოდ წალეკა ქვეყანა. ამის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ერთი კაციც არ დარჩება, რომელიც ჩვენკენ გამოიხედავს. იქ, სადაც უმაღლეს რელიგიურ იერარქებს, პოლიტიკოსებს, ოპონენტებს უსმენენ ანტიკონსტიტუციურად და დანაშაულებრივად, რეაგირება არ არის და მორიგი ხელის დაბანის პროცესია, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

ამას სჭირდება სახელმწიფოებრივი ნება. ყველაფერი ერთ ადამიანზეა ჩამოკიდებული. დანარჩენები მარიონეტები არიან. ამ ერთ ადამიანს უპყრია კიდევ რაღაც ძალა და კიდევ მას შეუძლია, მომავალი კონფრონტაცია (რაც

გველის) შეაჩეროს. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

– როდესაც 27 სექტემბერზეა საუბარი, დღეს უკვე უნდა იყოს კარგად მოფიქრებული გეგმა, როგორ შეგვიძლია დავიბრუნოთ აფხაზეთი და ცხინვალი. ალბათ, თქვენ ამაზე ბევრი გაქვთ ნაფიქრი.

– აქ შეიძლება კონსტიტუციური შეთავაზებები გაკეთდეს, რაც ორპალატიან სისტემას უკავშირდება, სადაც აფხაზეთს უნდა ჰქონდეს ძალიან დიდი კვოტა. ამ საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ კონსტიტუციური მოდელის შეთავაზებაზე გადის. მსოფლიო საზოგადოებრიობა, მათ შორის, აფხაზები უნდა დავარწმუნოთ, რომ მათი მდგომარეობა კატასტროფულად უარესდება თვითონ აფხაზური იმიტაციური სახელმწიფოს დაცვის თვალსაზრისით. ეს რომ იმიტაციაა, ისინიც ხვდებიან. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რუსები როგორ ჩაიგდებენ საკვანძო-სტრატეგიულ ადგილებს, სამართლებრივი მექანიზმები როგორ იქნება რუსეთის ხელში.

– აფხაზები და ბჟანია რუსეთთან ორმაგ მოქალაქეობაზე უკვე თანხმდებიან.

– გაცილებით იმაზე უარესი ემუქრებათ აფხაზებს, რაც მოხდა სომხეთში. ამაში თვითონ დარწმუნდებიან. უკვე ბევრია დარწმუნებული. რამდენად გამოუტყდებიან თავიანთ თავს და რამდენად გადმოდგამენ ნაბიჯს ჩვენკენ, აქ უკვე ჩვენი პრობლემაა.

როგორც დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი და შემდეგ კონსტიტუციის მიღების ერთ-ერთი მონაწილე, ამ თვალსაზრისით პესიმისტურად ვარ განწყობილი. იქიდან გამომდინარე, რა მდგომარეობაშიც ჩვენ დღეს ვართ, ისინი ჩვენკენ არასოდეს გამოიხედავენ. თუ გამოვსწორდებით და ავმაღლდებით ჩვენს თავზე, თუ გავიცნობიერებთ (რელიგიის წარმომადგენლები ვალდებული არიან, ეს გააცნობიერონ და გადასცენ თავიანთ მრევლს – გამოასწორონ დაშვებული შეცდომები), ჰარმონიზაცია მოხდება, ჩვენ საკუთარი სახეს დავიბრუნებთ, ყველაფერი გამოსწორდება. ჰარმონიზაციის გარეშე ეთნოსის არსებობასაც კი კითხვის ნიშნები უჩნდება.

– აფხაზთაგან ბევრმა დაინახა, რა მდგომარეობაში იმყოფებიანო. ახლახან ბჟანია რუსეთთან ორმაგ მოქალაქეობას დასთანხმდა, ანუ, შეიძლება ითქვას, კატასტროფისა და რუსულ სამყაროსთან ათქვეფისკენ მიექანებიან. მგონი, ერთი ნაბიჯია დარჩენილი. ვინ და როგორ უნდა დაანახოს კატასტროფული სიტუაცია აფხაზებს, რომ ჩვენკენ შემობრუნდნენ?

– როდესაც კატასტროფულად მიმდინარეობს ქვეყნის დესუვერენიზაცია და ქვეყანა დაპირისპირებისა და ომის ზღვარზეა, ზედმეტია ლაპარაკი აქეთ ვიღაცის გამოხედვაზე.

– ეგ რომ გამოვრიცხოთ?

– მაშინ შეიძლება ისეთი კონსტიტუციური მოდელის შეთავაზება, სადაც მათ ექნებათ მთავრობაში კონსტიტუციურად, ლეგიტიმურად ძალიან მაღალი დონის მექანიზმები.

– პრაქტიკულად, ვინ, როგორ უნდა დაელაპარაკოს.

– მაღალი ლეგიტიმაციის ხელისუფლება უნდა დაელაპარაკოს. როდესაც ჩვენში მოხდება გარდასახვა და ფერისცვალება, მერე მოდელებიც ამოქმედდება. შეთავაზებასაც აზრი ექნება. მანამდე არანაირ შეთავაზებას აზრი არ აქვს. იმის მაგივრად, რომ აქეთ გავიხედოთ, უარეს უფსკრულს ვაღრმავებთ, ერთმანეთს კიდევ უფრო ვცილდებით, რაც კატასტროფას გამოიწვევს.

მინდა, ხელისუფლება გავაფრთხილო. ძირითადად ყველაფერზე პასუხისმგებელი ის არის. ხელისუფლების გადაბარება თუ ვადამდელი არჩევნები დასავლური სამყაროს განუყოფელი ნაწილია. ხელისუფლება ვალდებულია, ის ნორმატივები შეასრულოს, რომლებიც თუნდაც ბოლო პერიოდში ევროპელების თაოსნობით იქნა შემოთავაზებული.

– ხელისუფლების გადაბარება შესაძლებელია მაშინ, როდესაც არ არსებობს ისეთი ოპოზიცია, როგორიც დღეს საქართველოშია. ხომ ხედავთ, ხალხი, იმის გამო, რომ ხელისუფლებაში ნაცების ხილვა არ უნდათ, ხმას აძლევს „ოცნებას“.

– ეს „ოცნების“ მესამე წრეზე წასვლის ძალიან უნიჭო გათამაშებაა, რომელიც ქვეყანას ძალიან ძვირად უჯდება.

– ნაცებისა და „ოცნების“ გარდა, სხვა ძლიერი ძალა რომ არ არის, რომელიც ხელისუფლებას შეცვლის?

– „ოცნებას“ მესამე ძალის დაბადება რომ სდომებოდა, შესაბამის პირობებს შექმნიდა. „ოცნება“ და ნაცმოძრაობა სიამის ტყუპები არიან. ამ სიამის ტყუპებზე ოპერაციის ჩატარება ყოველთვის კატასტროფულად სრულდება, 100-და 95%-ის შემთხვევაში იღუპებიან. ეს „ოცნებამაც“ იცის. ისინი, გარკვეულწილად, ერთმანეთთან შეზრდილები არიან.

– კი, მაგრამ ვიცით, ნაცმოძრაობა რას აკეთებდა ხელისუფლებაში ყოფნის დროს. გარკვეულწილად, ტერიტორიების დაკარგვის განმაპირობებლები აღმოჩნდნენ. ახლა ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, რას მივიღებთ?

– ვერაფერს ვერ მივიღებთ. სანამ საზოგადოება ამას არ გაიგებს და მესამე ძალას არ დააფუძნებს, სრულ გაუგებრობაში ვიქნებით. ეს გარდაუვალია, ყველა ვარიანტში მოხდება (მე უზენაესი საბჭოს მნიშვნელოვანი დეპუტაციის სახელითაც ვლაპარაკობ). აუცილებელია, შემდგომ იყოს გარდამავალი პერიოდის არჩევნები, ანუ ნაცმოძრაობა, ე.წ. კოალიცია და 4-5-წლიანი ციკლით ხელისუფლების ცვლილება კი არ იქნება, სადაც ბიუჯეტი, ფინანსები და ათასი მავნე პროექტი შეიძლება თავიანთ თავზე მოირგონ და უმცირესობამ უმრავლესობა მართოს, არამედ მაქსიმუმ ორწლიანი არჩევნები უნდა იყოს, რომელიც მოამზადებს ალტერნატიულ კონსტიტუციას, მიიღებს და აამოქმედებს ლუსტრაციის კანონს.

შემდეგ იმუშავებენ იმ პროექტზე, რომლითაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემოერთების, ტერიტორიული მთლიანობის მოდელი იქნება გამართული, საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული. რა დროსაც იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის შინაგანი ლეგიტიმაცია, ისე – უცხოელი ექსპერტების დასტური. ეს უნდა გააკეთოს ეროვნული თანხმობის მთავრობამ, რომელიც ჩაატარებს ვადამდელ არჩევნებს, როდესაც რომელიმე კონკრეტულ პარტიას პრივილეგირებული მდგომარეობა არ ექნება. ამ გზით ჩატარდება არჩევნები, რომელიც მიიღებს სამართლებრივ ხასიათს.

– უზენაესი საბჭო ასეთ პროცესში მონაწილეობას მიიღებს?

– მე უზენაესი საბჭოს გარკვეული ჯგუფის სახელით ვლაპარაკობ. რიგგარეშე არჩევნები გარდაუვალი იქნება. ამას კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთ ვარიანტად მიიჩნევენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თვითონ საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ელიტამ, მათ შორის, ეკლესიამაც უნდა მისცენ დასტური, რომ არჩევნები ყოველგვარი მოპარვისა და ფოკუსების გარეშე ჩავატაროთ.

– რა გამოსავალია?

– გამოსავალი არსებობს. არჩევნები ნორმალურად უნდა ჩატარდეს. თუ არჩევნები ისე არ ჩატარდა, როგორც საჭიროა, ყველაფერი ჩიხში შევა, თან ეს იქნება ერთი პარტიის მიერ ხელისუფლების უზურპირება და თავისი ნების მოხვევა დანარჩენ მოსახლეობაზე. სანამ ნამდვილ არჩევნებს არ ჩავატარებთ, ვერც აფხაზეთს დავიბრუნებთ და ვერც სამაჩაბლოს. ფაქტობრივად, ეს იქნება სამოქალაქო საზოგადოების დაბადების მდგომარეობა, რომელიც გამქრალია. ისე რეზულტატი ვერ გვექნება.

ამ საკითხზე შეთანხმება გვჭირდება. ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ ვერც ერთ სტრატეგიულ თემაზე ვერ შევთანხმდით და ვერანაირი სტრატეგიული იდეა და თემა ჩვენ ვერ გვაერთიანებს, ვერც კონსტიტუცია, ვერც ეროვნული თანხმობა, ვერც, მაგალითად, ფეხბურთი, რომელიც ყველას უყვარს.

ნელსონ მანდელა ციხიდან რომ გამოვიდა, შავკანიანებისა და თეთრკანიანებისაგან კოალიციური მთავრობა შექმნა. აფრიკის რაგბისტთა გუნდი იყო მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა ეთამაშათ და რეზულტატი დადო. თუ ერი ვერაფერზე თანხმდება, შესაბამის შედეგსაც ძალიან მალე მოიმკის.

– ძირითადი ძალები „ოცნება“ და ნაცმოძრაობა არიან.

– ეგენი ჩანან იმიტომ, რომ ტელევიზიები, უზარმაზარი ფულადი რესურსები აქვთ და ლობისტები ჰყავთ, რაც ყველაზე ცუდი და სავალალოა, თვითონ მოსახლეობაში არ არის აქტიურად გამოხატული იმ მესამე ძალის მოთხოვნილება, რომელიც მართლა დადებს კრიზისიდან გამოსვლის რეალურ პროექტებს. ასეთი ხალხი არსებობს, მაგრამ გაფანტულია და მათ არავინ აირჩევს.

– ნაცებმა და „ოცნებამ“ კოალიციური მთავრობა რომ შექმნან, რა შედეგი გვექნება?

– ეგ გამორიცხულია. კოალიციური მთავრობის შექმნა თუ უნდოდათ, აქამდე შექმნიდნენ. „ოცნებას“ ნაციონალებიდან გადმოსახლებული და მოსყიდული ძალა ისედაც ბევრი ჰყავს, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო, მათი იქ ყოფნით პარტიაც ვერ გაჯანსაღდა.

„სააკაშვილის ჩამოსვლის მე არ მეშინია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზურაბიშვილის გზავნილით, ბიძინა ეთამაშება, ეფლირტავება, მაგრამ, მეორე მხრივ, აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. ბიძინა ივანიშვილის ერთი ხელი ანუ სალომე ზურაბიშვილი აკეთებს პროდემოკრატიულ განცხადებებს, ხოლო ბიძინა ივანიშვილის მეორე ხელი ანუ პრემიერ-მინისტრი და მისი გუნდი ახორციელებს ზეწოლას ოპოზიციაზე და აკეთებენ იმას, რომ გვაქვს ასეთი სიტუაცია არჩევნების წინ. ალბათ ბიძინა ივანიშვილის სურვილი იქნება, საერთაშორისო პარტნიორებს უთხრას, მე განვიხილავდი კოალიციის შესაძლებლობას, მაგრამ, შეხედეთ, ქართველმა ხალხმა გააკეთა ისეთი არჩევანი, რომ კოალიციის აუცილებლობა არ არისო. ასეთი ხაფანგები და ტრიუკები თუკი ჭრიდა 90-იანების რუსეთში, როცა ივანიშვილი სხვადასხვა მაქინაციით ფულს შოულობდა, დღეს ეს მაქინაციები ვერ გამოადგება. ასეთი განცხადებებით მათ თავს არ მოვატყუებინებთ.

– რას ფიქრობთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებზე? ამბობენ, რომ ის „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს. რა მოლოდინი გაქვთ? გუშინ კიდევ ახალი ტრიუკი გაითამაშა და სამგზავრო ბილეთი გაასაჯაროვა სოციალურ ქსელში. მართლა ჩამოვა თუ, პირიქით, „ქართულ ოცნებას“ ეხმარება ამომრჩევლის მობილიზებაში?

– ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ახლა სააკაშვილის ინტერესში არანაირად არ შედის ის, რომ ხელისუფლებას ამომრჩევლის მობილიზაციაში დაეხმაროს. ლოგიკურად რომ მივყვეთ მოვლენებს, ამაში, უბრალოდ, აზრს ვერ ვხედავ. რატომ უნდა ჰქონდეს მიშას ამის ინტერესი?! რადგან აზრი და ლოგიკა არ არსებობს, საფუძველი არ მაქვს, ასე ვიფიქრო.

– ჩვენს ქვეყანაში ლოგიკურად ხომ არც ერთი პროცესი არ ვითარდება.

– თუმცა, სიმართლე გითხრათ, პოლიტიკურ ლოგიკას არაფერი არ ექვემდებარება, რაც საქართველოში 2012 წლიდან მოხდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საფუძველი არ მაქვს, ასე ვიფიქრო. რაც შეეხება მიშას ჩამოსვლას, მე სააკაშვილის ჩამოსვლის არ მეშინია. მის ჩამოსვლაზე იფიქრონ ივანიშვილმა და კიდევ იმ ადამიანებმა, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს საკუთარ სამზარეულოში იყვნენ შეკეტილი და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ახლა ხელისუფლებაში არიან და კუნთებს უთამაშებენ ოპოზიციას. აი, ამ ხალხმა ინერვიულოს ამაზე. ეს არ არის ჩემი სანერვიულო. ლოგიკურად, უნდა ჩამოვიდეს. მას უნდა ესმოდეს, თუკი ამ ნაბიჯს არ გადადგამს, ამას პოლიტიკურად ძალიან მძიმე ფასი ექნება. ამიტომ, სავარაუდოდ, ის ამ ნაბიჯს გადადგამს, თუმცა დარწმუნებით რაიმეს თქმა რთულია.

– თუკი ის მართლა ჩამოვა, ხომ არ იგეგმება რევოლუციური სცენარი?

– რევოლუციური სცენარი ზოგადად ასე არ იგეგმება ხოლმე. არა მგონია, ვინმე სადმე შევარდნის სცენარს განიხილავდეს. ეს ისევ და ისევ დამოკიდებულია ხელისუფლებაზე. თუ ხელისუფლება ჩაჯდება დემოკრატიულ ჩარჩოებში, რაც არ უნდა რადიკალური იყოს განწყობა სხვადასხვა ჯგუფში, მათ არ ეძლევათ ხოლმე საშუალება, პროცესები რადიკალიზაციისკენ წაიყვანონ. ასე რომ, „ქართული ოცნება“, რომელიც საკუთარ ამომრჩეველსაც და სხვისასაც რევოლუციური სცენარით აშინებს, უმჯობესია, იმით დაკავდეს, რომ ველური პოლიტიკური გარემო არ იყოს ქვეყანაში. მაშინ არანაირი პროცესების რადიკალიზაციის საფრთხე არ იქნებოდა.

მინდია დავითაძემ ირაკლი ღარიბაშვილს სასამართლო მოუგო

საქპატენტის ყოფილ თავმჯდომარეს საბოლოო გამარჯვების იმედი აქვს

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ყოფილი უფროსის მინდია დავითაძის განცხადებით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე სააპელაციო სასამართლოში სამართლებრივი დავა მოიგო.

ამის შესახებ მინდია დავითაძე სოციალურ ქსელში წერს.

მისივე ინფორმაციით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრს დროებით ეკრძალება საქპატენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, მოვალეობის შემსრულებელი პირის გარდა, ვინმეს დანიშვნა.

„მეგობრებო, მინდა, ერთი სიახლე გაგაცნოთ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პრემიერს საქპატენტის თავმჯდომარის დანიშვნა აეკრძალა!

აღნიშნული გადაწყვეტილება უკავშირდება პრემიერ-მინისტრის – ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თანამდებობიდან ჩემი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავას.

როგორც იცით, მას შემდეგ, რაც უკანონოდ გამათავისუფლეს, სასამართლოში შევიტანე სარჩელი ჩემი დარღვეული უფლებების აღსადგენად, ამასთან, მოვითხოვე პრემიერ-მინისტრს, დავის გადაწყვეტამდე, აკრძალვოდა საქპატენტის თავმჯდომარის დანიშვნა.

სამწუხაროდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, როგორც ჩანს, განმხილველი მოსამართლისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სამართლებრივ მხარეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძემ მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება, დააკმაყოფილა შუამდგომლობა და პრემიერ-მინისტრს აუკრძალა საქპატენტის თავმჯდომარის დანიშვნა.

ეს არის პრეცედენტული გადაწყვეტილება და მნიშვნელოვანი სიგნალი საბოლოო გამარჯვებისკენ!“, – აღნიშნულია მინდია დავითაძის განცხადებაში.

დავითაძე აღნიშნულ თანამდებობას 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის ივნისამდე იკავებდა.

როგორც ის აქამდე აცხადებდა, მისი გათავისუფლება იყო უკანონო და ემსახურებოდა პოლიტიკურ მიზნებს.

ცნობისთვის, „საქპატენტის“ თავმჯდომარედ ის გიორგი გახარიამ დანიშნა.

თამარ ორდენიძე: „მე თქვენთვის სიცოცხლეს ვწირავ“

კახა კალაძე: „მამაჩემი ორდენიძეებს არ იცნობს“

კალაძეების კლანს შეწირული მანანა მოდებაძის შვილი თამარ ორდენიძე საზოგადოებას გვერდში დგომისკენ მოუწოდებს და მისი ოჯახის საქმეზე გამოძიების დაწყებას მოითხოვს. მისი თქმით, ამ საქმის გამოძიება ხელისუფლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

– ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ ამ საქმის გამოძიება თქვენთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ის, რომ მე ამ ყველაფერს ასე არ გავატარებ, ასე არ დავტოვებ, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ხალხს მოვუწოდებ, გვერდში დამიდექით, იმიტომ, რომ მე თქვენთვის სიცოცხლეს ვწირავ. მე ზუსტად ვიცი, რისი მკადრებელია დღევანდელი ფიფია და დღევანდელი ფიფიას მფარველები, – თქვა თამარ ორდენიძემ.

ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება იყო 27 სექტემბერს „მთავარი არხის“ გადაცემა „მთავარ დებატებში“. კარლო კალაძის თაღლითური სქემის ერთ-ერთმა მონაწილემ ბესო ფიფიამ ორდენიძეების ოჯახი თაღლითობაში დაადანაშაულა, ხოლო მას შემდეგ, რაც თამარ ორდენიძე „მთავარი დებატების“ სტუდიაში შევიდა, ბესო ფიფია გადაცემიდან გაიქცა.

– დედა მომიკლა, ეს როგორ უნდა გაიქცეს?! ეს ხომ არ არის ტრაგედია, რომელმაც ოჯახი ფინანსურად ნულზე დასვა, ეს ხომ ტრაგედიაა, რომელმაც ოჯახს დედაბოძი მოუკლა, – თქვა თამარ ორდენიძემ ბესო ფიფიაზე.

მან აღნიშნა, რომ ტელევიზიაში მისვლამდე მას ბესო ფიფიას დაცვა უთვალთვალებდა. ორდენიძის თქმით, ბესო ფიფიას მისი ეშინია, ვინაიდან ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც საქმის დეტალები იცის.

„მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორთან ინტერვიუს დროს ორდენიძეების ოჯახი მოყვა, რომ თბილისის მოქმედი მერის მამამ კარლო კალაძემ და მისმა გარემოცვამ რამდენიმე ათეული ათასი დოლარი გამოსძალეს და დახმარებას დაჰპირდნენ, სანაცვლოდ კი „15 კგ კარტოფილი“ მოითხოვეს, რაც კორუფციულ ენაზე 15.000 დოლარია.

კახი კალაძის მტკიცებით, მის მამას, კარლო კალაძეს, ორდენიძეების ოჯახთან არანაირი კავშირი არ აქვს.

როგორც მან აღნიშნა, „მთავარი არხის“ ეთერში ბესო ფიფიასა და თამარ ორდენიძეს შორის მომხდარი დაპირისპირება „სერიალის ბოლოსწინა ეპიზოდი იყო“.

– საერთოდ არ ვიცნობ ამ პიროვნებას, გუშინ იყო ბოლოსწინა სერია, ასე რომ, მოიმარაგეთ ასანთი. ჩემთან რა, მე რა შუაში ვარ, მიხედონ შესაბამისმა სამსახურებმა. მამაჩემს ამ ოჯახთან არანაირი კავშირი არ აქვს. გითხარით, მოიმარაგეთ საწვავი „სუპერი 98“ და ასანთს, „ზიპოს“ სანთებელას მე მოგაწვდით, რომ არ ჩაგიქრეთ, – თქვა კახი კალაძემ.

პროკურატურამ ჯაფარიძის, ხაზარაძისა და წერეთლის საქმეზე მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა

ფულის გათეთრების საქმეზე ბადრი ჯაფარიძის, მამუკა ხაზარაძისა და ავთანდილ წერეთლის ბრალდების საქმეზე პროკურატურამ საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა.

გუშინ, 28 სექტემბერს, დაცვის მხარის მტკიცებულებები გამოიკვლიეს, კერძოდ, ჩვენება ვატო წერეთელმა მისცა.

– წინა პროცესზე კითხვების დასმის საშუალება არ მომეცა, რასაც დღეს აუცილებლად დავსვამ. მაინტერესებს, სახელმწიფო აუდიტმა რომ დაწერა დასკვნა, სადაც სახელმწიფო უწყებებში ხდებოდა კორუფციული გარიგებები და უბედურებები, ის საქმეები თუ მიდის ასე დაჩქარებულად და ფორსირებულად, – განაცხადა სხდომამდე წერეთელმა.

საქმის პროკურორ არჩილ ტყეშელაშვილის თქმით, ვატო წერეთელმა სასამართლოს საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

პროკურორის თქმითვე, ბრალდების მხარის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები ბრალდებულების დამნაშავეობას ადასტურებს.

– აღნიშნული პირი ჩვენც გვყავდა მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში, თუმცა, მოვხსენით, ვინაიდან საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ვერ ადასტურებდა.

პროცესზეც იგივე განმეორდა, ფაქტობრივად ყველა შეკითხვაზე მისი პასუხი იყო, რომ არ იცოდა, არ ახსოვდა, მას ინფორმაციულად არაფერი არ მიუწოდებია სასამართლოსთვის. არათუ მნიშვნელოვანი მოწმე, საერთოდ მისი ჩვენება ფაქტობრივად შემხებლობაში არ იყო განსახილველ საქმეზე.

ჩვენ სახელმწიფო ბრალდებას მხარს ვუჭერთ, შესაბამისად, მოლოდინი გვაქვს მტკიცებულებების გამოკვლევისას გამოვიკვლიეთ უტყუარი მტკიცებულებები და მიგვაჩნია, რომ გონივრულ ეჭვსმიღმა ადასტურებენ წარმოდგენილი ბრალდებულების ბრალეულობას. რაც შეეხება მტკიცებულებებს, არა მარტო მოწმეებმა დაადასტურეს ბრალეულობა, არამედ გამოვიკვლიეთ ექსპერტიზის დასკვნები, ასევე წერილობითი მტკიცებულებები და საბანკო გადარიცხვები, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარედგინათ 2019 წლის 24 ივლისს ჯგუფურად 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

ავთანდილ წერეთელს პროკურატურა ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავება.

31 წლის დ.გ.-მ ვარკეთილში ბინა გაქურდა

პოლიციამ თბილისში ბინების გაქურდვის ფაქტებზე ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.გ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, ვარკეთილში, მოქალაქის საცხოვრებელ ბინაში ფარულად შეაღწია, სხვადასხვა ნივთი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ დ.გ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისის სხვადასხვა უბანში არაერთი ბინაში ფარულად შეაღწია და გაქურდა.

სამართალდამცველებმა, დ.გ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას დანაშაულებრივი გზით დაუფლებული ნივთების ნაწილი და, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ადვოკატი ფანცულაია: „დეკანოზ გიორგი მამალაძის მოსანახულებლად გლდანის ციხეში არ მიშვებენ“

დეკანოზ გიორგი მამალაძის მოსანახულებლად გლდანის მე-18 პენიტენციარულ დაწესებულებაში ადვოკატს არ უშვებენ. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მამალაძის უფლებადამცველმა გიორგი ფანცულაიამ განუცხადა.

ფანცულაია განმარტავს, რომ პატიმართან შესვლის პრობლემა მხოლოდ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან იქმნება. მისივე თქმით, ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოახერხა მამალაძის მონახულება, ვინაიდან პენიტენციარულ დაწესებულებაში მისვლისას მას ეუბნებიან, რომ შეხვედრისთვის ადგილი თავისუფალი არ არის.

– თითქმის ერთი წლის განმავლობაში დეკანოზთან ადვოკატები ვერ ვახერხებთ შესვლას. ეს საკითხი დღემდე ვერ მოგვარდა, პატიმარი გვირეკავს ადვოკატებს, შემოდითო და არ გვახვედრებენ. პატიმარი კარგი მდგომარეობის გამო ხომ არ დაგირეკავს, შემოდიო? აქ მოსულებს არ გვიშვებენ, მიზეზი ასეთია – ადგილი არ არისო, გვეუბნებიან. ეს პრობლემა მხოლოდ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან ხდება, – აცხადებს ფანცულაია.

გიორგი მამალაძე თბილისის აეროპორტში 2017 წლის 10 თებერვალს დააკავეს. ის სასამართლომ შურისძიების მოტივით ციანიდის გამოყენებით შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაში ცნო დამნაშავედ და 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ყურძნით დატვირთული მანქანების წონის ხელოვნურად გაზრდისთვის 4 პირი დააკავეს



კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, კახეთის საოლქო პროკურატურასთან ერთად ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით დააკავეს ორგანიზებული ჯგუფის წევრები, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი 4 პირი: 1978 წელს დაბადებული მ. ც., 1990 წელს დაბადებული ი.ა., 1960 წელს დაბადებული ნ.ბ., 1974 წელს დაბადებული გ.ც., 1975 წელს დაბადებული ზ. ც. და 1976 წელს დაბადებული კ.პ. კი პასუხისგებაში მისცეს.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა გ.ც.-მ და მ.ც.-მ დანაშაულებრივი ჯგუფი ჩამოაყალიბეს და სხვა ბრალდებულებთან ერთად, ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე ღვინის ქარხნებში, ყურძნის მიღების დროს ელექტროსასწორებზე განხორციელებული ხელოვნური მანიპულაციის შედეგად, დიდი ოდენობით თანხებს უკანონოდ ეუფლებოდნენ.

ბრალდებულებმა სექტემბერში ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში არსებულ მაღალი ტონაჟის სასწორზე ფარულად დაამონტაჟეს დისტანციური წესით სამართავი მოწყობილობა და დისტანციური მართვის პულტების საშუალებით ახდენდნენ მათ მიერვე მოძიებული, ყურძნით დატვირთული ავტომანქანების წონის ხელოვნურად გაზრდას.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ასევე, ღვინის ქარხნის დათვალიერებისას, კუსტარულად დამზადებული, წონის მომატებისთვის საჭირო აპარატურა, სამართავი პულტი, აგრეთვე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 4.630 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გახარიას პარტიის წევრი ვასილ პაპაშვილი ქურდობისთვის დააკავეს

კახეთში პარტია „საქართველოსთვის“ წევრი ვასილ პაპაშვილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

ის სიღნაღის საკრებულოში წარდგენილი პროპორციული სიით გამსვლელ დეპუტატთა შორის 22-ე ნომერს იკავებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 22 წლის ახალგაზრდა საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებული სათავსოდან სხვადასხვა ლითონის საგნებს სისტემატურად იპარავდა.

პაპაშვილი ქურდობის დროს დააკავეს.

ჩხრეკისას ამოღებულია სხვადასხვა მოწყობილობა, მათ შორის, სპილენძის ქვაბი.

მამაკაცი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

რუსეთში ნავალნის წინააღმდეგ ახალი საქმე აღიძრა

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა კრემლის კრიტიკოსის, ალექსეი ნავალნის წინააღმდეგ ექსტრემისტული დაჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის მთავარმა საგამოძიებო დეპარტამენტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ექსტრემისტული დაჯგუფების შექმნა და მართვა) ა. ნავალნის, ლ. ვოლკოვის, ი.ჟდანოვისა და სხვა პირების წინააღმდეგ და სისხლის სამართლის კოდექსის 282.1-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ექსტრემისტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა) ლ. სობოლის გ. ალბუროვის, რ. შავედდინოვის, ვ. გიმედის, პ. ზელენსკის, რ. მულიუკოვისა და სხვა პირების წინააღმდეგ,

კომიტეტის ინფორმაციის თანახმად, ნავალნიმ, როგორც ანტიკორუფციული ფონდის დამფუძნებელმა, შექმნა ექსტრემისტული დაჯგუფება (რომელიც გამოცხადდა ექსტრემისტულად და დაიხურა რუსეთში) არაუგვიანეს 2014 წლისა და ხელმძღვანელობდა მას ექსტრემისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელიც მიმართული იყო კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების შეცვლის, ასევე – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მთლიანობის შერყევისკენ.

პოლონეთი საგანგებო მდგომარეობას 60 დღით გააგრძელებს

პოლონეთის მთავრობა ქვეყნის პრეზიდენტს ბელარუსთან საზღვარზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის 60 დღით გახანგრძლივების თხოვნით მიმართავს.

– მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა, პრეზიდენტ ანჯეი დუდას საგანგებო მდგომარეობის კიდევ 60 დღით გაგრძელება სთხოვოს. პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე სიტუაცია ჯერ კიდევ ძალიან რთულია, – განაცხადა პოლონეთის მთავრობის პრესსპიკერმა პიოტრ მიულერმა გუშინ, 28 სექტემბერს.

პოლონეთმა, ლიეტუვამ და ლატვიამ ავღანელი და ერაყელი მიგრანტების ნაკადის მკვეთრი ზრდის ფონზე ბელარუსთან საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

ბრიუსელი და ვარშავა უკანონო მიგრაციის წახალისებაში ბელარუსს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ მინსკი ამას მის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების საპასუხოდ, ბლოკზე ზეწოლისთვის იყენებს.

მარია კოლესნიკოვას ჰაველის პრემია მიენიჭა

ბელარუსი ოპოზიციონერი მარია კოლესნიკოვა ხანგრძლივ პატიმრობაშია. როგორც ცნობილი გახდა, ევროპის საპარლამენტო ასოციაციის (პასე) გადაწყვეტილებით, მას ვაცლავ ჰაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

კოლესნიკოვასთვის ჰაველის პრემიის მინიჭების თაობაზე პასეს მორიგ სესიაზე გამოცხადდა. სესიას ესწრებოდა კოლესნიკოვას და ტატიანა ხომიჩი.

უკრაინის ელჩი უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიტერ სიიარტომ უკრაინის ელჩი ქვეყნის საგარეო უწყებაში დაიბარა.

გადაწყვეტილების მიზეზი უნგრეთსა და რუსეთს შორის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით უკრაინის მიერ გამოხატული უკმაყოფილება გახდა.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, უკრაინის მცდელობა, დაბლოკოს შეთანხმება, უნგრეთის სუვერენიტეტის დარღვევის ტოლფასია.

– მიგვაჩნია, რომ უკრაინის სურვილი, დაბლოკოს უნგრეთისთვის გაზის უსაფრთხო მიწოდება, ჩვენი სუვერენიტეტის დარღვევაა, – აღნიშნულია პიტერ სიიარტოს განცხადებაში.

27 სექტემბერს რუსულმა კომპანია „გაზპრომმა“ და უნგრეთმა გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით 15-წლიანი ხელშეკრულება გაფორმეს, რომელიც გაზის უკრაინის გვერდის ავლით მიწოდებას ითვალისწინებს. აღნიშნულთან დაკავშირებით უკრაინამ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ გარიგება წმინდა პოლიტიკური, ეკონომიკურად არაგონივრული გადაწყვეტილებაა, რომელიც საზიანოა უკრაინულ-უნგრული ურთიერთობებისათვის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გოგონამ შეუყვარებული ტელეფონით მოკლა

არგენტინაში 22 წლის გოგონამ თავისი შეყვარებული მოკლა. მან ახალგაზრდა მამაკაცს მობილური ტელეფონი ესროლა.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ სალტაში მოხდა. კამათის დროს ლუის დარიო გუანტეიმ როქსანა ადელინა ლოპეს სახეში ხელი გაარტყა. ამის პასუხად გოგონამ ხელი სტაცა მობილურ ტელეფონს და მამაკაცს ესროლა. ტელეფონი ახალგაზრდა მამაკაცს საფეთქელში მოხვდა. დარტყმის შედეგად მას თავის ტკივილები დაეწყო და საავადმყოფოს მიმართა. გუანტეის ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ ის ინციდენტიდან რვა დღეში გარდაიცვალა. გარდაცვლილის დედამ პოლიციას მიმართა. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. გოგონა დააკავეს, თუმცა შემდეგ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. შეყვარებულების ჩხუბის მიზეზი უცნობია.

უყურადღებობამ მამაკაცი კინაღამ მოგების გარეშე დატოვა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ უოლდორფის მკვიდრმა მოგებული ლატარიის ბილეთი კინაღამ ნაგავში გადააგდო.

50 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ლატარიის ბილეთი ავტოგასამართ სადგურზე შეიძინა. თავდაპირველად უყურადღებობის გამო ჩათვალა, რომ წაგებული დარჩა.

– კინაღამ დავჭმუჭნე და ნაგავში მოვისროლე, მაგრამ შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და მობილური დანართით კიდევ ერთხელ გადავამოწმე, – განაცხადა ამერიკელმა.

მამაკაცმა აღმოაჩინა, რომ ბონუსურმა თამაშმა, რომელიც იღბლიანი ბილეთის ქვედა ნაწილში იყო დაბეჭდილი, მას 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა. როგორც კი დარწმუნდა მოგებაში, მამაკაცმა პირველ რიგში სახლში დარეკა და ოჯახის წევრებს სასიხარულო ამბავი აცნობა.

მამაკაცმა ლიტრ-ნახევარი კოკა-კოლა ათ წუთში დალია და მეორე დღეს გარდაიცვალა

ჩინეთში 22 წლის მამაკაცმა ლიტრ-ნახევარი კოკა-კოლა 10 წუთში დალია და მოულოდნელად მეორე დღეს გარდაიცვალა.

მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ მჟღავნდება, გაზიანი სასმელის მიღებიდან ექვს საათში საავადმყოფოს მიმართა მუცლის არეში მწვავე ტკივილების ჩივილით. მან ექიმებს უთხრა, რომ ლიტრ-ნახევარი კოლა დალია გასაგრილებლად.

მამაკაცის გასინჯვამ და ანალიზებმა პნევმატოზი დაუდგინა – ნაწლავის კედელზე საჰაერო კისტის წარმოქმნა და ღვიძლის ინფარქტი – ღვიძლის დაზიანება, გამოწვეული მასში სისხლის ან ჟანგბადის არასწორი მიწოდებით. ექიმებმა მას აუცილებელი დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ 12 საათში კაცის მდგომარეობა გაუარესდა და ანალიზებმა აჩვენა, რომ ღვიძლი სერიოზულად იყო დაზიანებული. ექვს საათში მამაკაცი დაიღუპა.

ექიმები ამტკიცებენ, იმის გამო, რომ მამაკაცმა მეტისმეტად სწრაფად დალია კოლა, მის ორგანიზმში ძალიან ბევრი ნახშირორჟანგი დაგროვდა, რამაც ღვიძლის ჟანგბადის შიმშილი გამოიწვია და დაღუპვის მიზეზი გახდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მეტყევეებმა მწყემსი დათვებისგან იხსნეს

ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატის კუპლამის მუნიციპალიტეტში მეტყევეებმა გადაარჩინეს მწყემსი, რომელსაც ორი დათვი დაესხა თავს.

მეტყევეები გარეული სპილოების გადაადგილებას ადევნებდნენ თვალს, რა დროსაც განწირული ყვირილი გაიგონეს. ისინი ხმას მიჰყვნენ და დაინახეს მამაკაცი, რომელიც ორი დათვისგან თავის დაღწევას ცდილობდა.

ყვირილმა და ფარნების შუქმა მტაცებლები დააფრთხო და მათ ტყის სიღრმეს შეაფარეს თავი.

– საბედნიეროდ, ჩვენი მეტყევეები ტყეში იმყოფებოდნენ. მათ რომ დროულად არ მიესწროთ, დათვებს შეეძლოთ, მამაკაცისთვის სასიკვდილო ჭრილობები მიეყენებინათ, – განაცხადა ადგილობრივი სატყეოს წარმომადგენელმა ს.რავი შანკარმა.

გადარჩენილი 46 წლის მწყემსი აღმოჩნდა, სახელად ნარაიანაპა. მან მტაცებლების თავდასხმის შედეგად მცირე დაზიანებები მიიღო კისრისა და თავის არეში. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ირაკლი ცირეკიძემ შემადგენლობა დაასახელა

6-10 ოქტომბერს იტალიის პატარა ქალაქ ოლბიაში ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემ აპენინებზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა.

როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატზე ცირეკიძეს გუნდისთვის საჭირო კვოტა შევსებული კი ჰქონდა, მაგრამ 73-ში მონაწილე არ გვყავდა და მის ხარჯზე სხვა წონა გააორა. ნაკრების მწვრთნელი ექსპერიმენტს ამჯერადაც მიმართავს და 73-ის გარდა მონაწილე არც 66 კილოგრამში გვეყოლება, თუმცა ამჯერად 60 კილოგრამში გვეყოლება 2 სპორტსმენი.

კიდევ ერთი ცვლილება 90 კილოგრამს შეეხო, სადაც ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მომპოვებელი თორნიკე ფოლადიშვილი ლაშა მღებრიშვილმა ჩაანაცვლა. თავად ცირეკიძის თქმით, ეს ჯერ კიდევ ევროპის პირველობამდე იყო გადაწყვეტილი. ჯერ შანსი ფოლადაშვილს მიეცა, ამჯერად მღებრიშვილი მიიღებს.

ირაკლი ცირეკიძის გუნდის შემადგენლობა ასეთია: გიორგი სარდალაშვილი, შაქრო შათირიშვილი (60კგ), გიორგი შერაზადიშვილი (81), ნიკა ხარაზიშვილი, ლაშა მღებრიშვილი (90), ილია სულამანიძე, მიხეილ ჯაფარიძე (100), საბა ინანეიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი (+100).

ოლბიაში ჩვენგან 4 გოგონაც გამოვა: მარიამ ლაფაჩიშვილი, რეგინა უთნელიშვილი (52), ნინო ლოლაძე (57), ინდირა სილაგაძე (63).

ორივე ნაკრები დასკვნით შეკრებას გორში გადის, სადაც 2 ოქტომბრამდე დარჩებიან, 4-ში კი იტალიაში გაფრინდებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მაიმუნმა ლეკვი გაიტაცა და სამი დღე არ უშვებდა



მალაიზიაში გარეული მაიმუნის მიერ გატაცებული ორი კვირის ლეკვი გადაარჩინეს.

მაიმუნმა ლეკვი, სახელად სარუ, ხუთშაბათს გაიტაცა და სამი დღე მძევლად ჰყავდა. ადგილობრივებმა შენიშნეს ელექტრობოძებს შორის გაჭიმულ მავთულებზე მჯდომი მაიმუნი, რომელსაც ხელში ლეკვი ეჭირა.

– ლეკვი არაქათგამოცლილი და დატანჯული ჩანდა, თუმცა, სავარაუდოდ, მაიმუნს მისთვის ზიანი არ მიუყენებია. მას, უბრალოდ, ლეკვი ეჭირა. ისეთი წარმოდგენა იქმნებოდა, თითქოს მეგობრად ან ბავშვად აღიქვამდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ლეკვი უნდა გადაგვერჩინა, ვინაიდან მას, დიდი ალბათობით, შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

ადგილობრივებმა მაიმუნს სხვადასხვა საგნის სროლა დაუწყეს იმის იმედით, რომ ლეკვს გაუშვებდა. ბოლოს და ბოლოს მაიმუნმა ლეკვი გაუშვა და ის ადამიანების ხელებში აღმოჩნდა. ერთ-ერთმა მათგანმა ლეკვი სახლში წაიყვანა, გამოკვება და შეამოწმა, რაიმე დაზიანება ხომ არ ჰქონდა მიღებული. აღმოჩნდა, რომ ლეკვს შიმშილის მეტი არაფერი აწუხებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფეხბურთი: დღეს მესამე წრის ბოლო ტურია

დღეს საქართველოს ეროვნული ლიგის მესამე წრის ბოლო ტურის მატჩები გაიმართება. ჩემპიონატი დასკვნით ფაზას უახლოვდება, ამიტომ მატჩებს მეტი ინტრიგა და დაძაბულობა ახლავს. ეს როგორც ზედა, ასევე ქვედა ნაწილს ეხება.

29 სექტემბერი

სამგუხარი-ტოხეველი

15:30. წყალტუბო. 26 მაისი

იმერული დერბი, რომელიც საინტერესო უნდა გამოდგეს. წყალტუბელები ცხრილის შუაში არიან და თითქოს ვერც ზევით უნდა ავიდეს და არც ქვემოთ ჩასვლა ემუქრება, თუმცა მოდუნების უფლება არ აქვთ, რადგან სეზონის ბოლომდე მთელი ერთი წრე რჩება.

ტორპედოს საქმე გაცილებით რთულად არის. მართალია, რიონისპირული გუნდი გასავარდნი ზონის ზემოთ დგას, მაგრამ თელავს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით უსწრებს, ამასთან, ზურგსუკან შუქურას „სუნთქვაც“ ესმის.

შუქურა-თელავი

15:30. ფოთი. ფაზისი

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ორივე გუნდისთვის, რომ იტყვიან – 6-ქულიანი. თელავი გამარჯვების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მოსწყდება მეტოქეს, ხოლო შუქურა გამარჯვების შემთხვევაში კახელებთან ჩამორჩენას ქულამდე დაიყვანს.

აქედან გამომდინარე, ფოთში ძალიან საინტერესო ბრძოლა უნდა შედგეს.

სამტრედია-საბუთალო

15:30. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

ცხრილის ფსკერზე მყოფი სამტრედია მედლებისა და ევროსაგზურებისთვის მებრძოლ საბურთალოს დაუხვდება. ორივე გუნდისთვის ქულები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სამტრედია გაცილებით რთულ დღეშია – ჩამორჩენა უახლოეს კონკურენტთან 5 ქულაა და მორიგი წაფორხილების შემთხვევაში, შესაძლოა, ეს სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

აუტსაიდერთან ქულების დაკარგვის უფლება არც საბურთალოს აქვს, რადგან კონკურენტები „არ აპატიებენ“ და, არ არის გამორიცხული, ძვირიც დაუჯდეს.

ლოკომოტივი-დინამო თბ

18:30. საგურამო. ლოკო-საგურამო

თბილისური დერბი, რომელიც საგურამოში გაიმართება. დინამო ჩემპიონობისთვის იბრძვის, ლოკომოტივს კი მიზნად ევროსაგზური აქვს დასახული. ორივე გუნდი „გრაფიკს“ ჩამორჩება და ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ.

ფავორიტად მაინც დინამო უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ლოკომოტივს აქვს ფავორიტებთან თამაშის გამოცდილება და ხშირად ყოფილა შემთხვევები, ქულებიც „აუკრეფია“.

დილა-დინამო ბთ

20:30. გორი. თენგიზ ბურჯანაძე

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გორში გაიმართება. ჩემპიონატის ლიდერი ევროსაგზურებისთვის მებრძოლ გუნდს ესტუმრება.

ერთია, დილა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდება მეტოქეს. გორელებს საკადრო პრობლემები აქვთ და წინა ტურში თელავთან განაცხადში სულ 14 ფეხბურთელი ჰყავდა.

ზღვისპირელები კი ბოლო ტურებს შესანიშნავად თამაშობენ და ქულებსაც ლაღი თამაშით იხვეჭენ, თუმცა დემჩენკოს გუნდსაც შეუძლია სიურპრიზები.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	26	16	8	2	54-20	56
2.დინამო (თბ)	26	16	3	7	43-20	51
3.საბურთალო	26	11	10	5	37-26	43
4.დილა	26	12	7	7	29-23	43
5.ლოკომოტივი	26	12	4	10	43-43	40
6.სამგურალი	26	8	10	8	28-31	34
7.ტორპედო	26	5	10	11	23-32	25
8.თელავი	26	6	7	13	21-38	25
9.შუქურა	26	4	9	13	20-37	21
10.სამტრედია	26	4	4	18	25-53	16

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვემკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

საქართველომ მსოფლიო ჩემპიონატს ვერ უმასპინძლა და დაისაჯა

800.000 დოლარი ჯარიმა და დისკვალიფიკაცია – ასეთია მსოფლიო მკლავჭიდის ფედერაციის ვერდიქტი საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის მიმართ.

საქმე ის არის, რომ საქართველოს მკლავჭიდისა და პარამკლავჭიდის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ ვალდებულება ვერ შეასრულა.

ჯერჯერობით უცნობი მხოლოდ ის არის, რა ვადიანი დისკვალიფიკაცია აქვს საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციას.

„საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციას საერთაშორისო ფედერაციის ნებისმიერ მსხვილ ტურნირებში (ევროპისა თუ მსოფლიოს მასშტაბით) ან ორგანიზაციის წევრების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მსოფლიო კონტრაქტის სერიოზული დარღვევის გამო მიიღო. მკლავჭიდსა და პარამკლავჭიდში 2021 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზე უარის თქმა, საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობისა და მისი წევრების შეცდომაში შეყვანა – ამ ყველაფერმა ორგანიზაციას უდიდესი ფინანსური და საიმიჯო ზარალი მიაყენა. დისკვალიფიკაციის პერიოდში ქართველი სპორტსმენები საერთაშორისო ფედერაციის ჩემპიონატებზე რეგისტრაციასაც ვერ გაივლიან“, – აღნიშნულია განცხადებაში.

მკლავჭიდის მსოფლიო ფედერაციამ სასწრაფო წესით ახალი მასპინძლის მოძიება დაიწყო. ტურნირს 24 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე პერიოდში რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი უმასპინძლებს. ცხადია, ქართველების გარეშე...

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები ჯგუფს ლიდერობს

ესპანეთის ქალაქ სიტჟესში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს 2021 წლის გუნდური ჩემპიონატი.

ტურნირი ახლებური ფორმატით ტარდება. თუ გასული 7 ჩემპიონატი წრიული სისტემით ჩატარდა, ახლა 12 გუნდი – სომხეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ესპანეთი, ფიდეს ამერიკა, გერმანია, პოლონეთი და უკრაინა 2 ჯგუფში გადანაწილდა. ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო ჯვარედინი სისტემით გზას ფლეი ოფში გააგრძელებს, რომელიც ასევე ახლებურად ჩატარდება – გამარჯვებული 2 მატჩში უნდა გამოვლინდეს, ხოლო თუ ფრედ დასრულდა, ყველაფერს სწრაფი ჭადრაკი გადაწყვეტს.

საქართველოს ნაკრები ბ ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად უკრაინა, ფიდეს ამერიკა, პოლონეთი, ყაზახეთი და გერმანია ჰყავს.

ყოველდღიურად 2 ტური იმართება. პირველი დღის პირველ მატჩში ჩვენებმა ერთ-ერთ ფავორიტ უკრაინას 3:1 მოუგეს, ხოლო მეორე ტურში ყაზახეთის ნაკრებს დაუზავდნენ – 2:2.

2 ტურის შემდეგ ჯგუფს 3-3 ქულით საქართველო და ყაზახეთი ლიდერობენ, 2-2 ქულა აქვთ უკრაინას, გერმანიასა და ამერიკას, ხოლო პოლონეთი უქულოდ არის.

ა ჯგუფს კი 4 ქულით რუსეთი ჩაუდგა სათავეში, სომხეთსა და ინდოეთს 3-3 ქულა აქვთ, აზერბაიჯანს – 2, ხოლო საფრანგეთი და ესპანეთი უქულოდ არიან.

შედეგები

27 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიტეტი

კრ.პალასი-ბრაიტონი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	6	4	2	0	15-4	14
2.სიტი	6	4	1	1	12-1	13
3.ჩელსი	6	4	1	1	12-2	13
4.მანჩესტერი	6	4	1	1	13-5	13
5.ევერტონი	6	4	1	1	12-7	13
6.ბრაიტონი	6	4	1	1	8-5	13
7.ვესტ ჰემი	6	3	2	1	13-8	11
8.ასტონ ვილა	6	3	1	2	9-7	10
9.ბრენტფორდი	6	2	3	1	8-5	9
10.არსენალი	6	3	0	3	5-10	9
11.ტოტენჰემი	6	3	0	3	4-9	9
12.უოტფორდი	6	2	1	3	7-9	7
13.ლესტერი	6	2	1	3	7-10	7
14.ვულვზი	6	2	0	4	3-5	6
15.კრ.პალასი	6	1	3	2	6-9	6
16.საუთჰემპტონი	6	0	4	2	4-7	4
17.ნიუკასლი	6	0	3	3	7-14	3
18.ლიდსი	6	0	3	3	6-14	3
19.ბარნლი	6	0	2	4	5-11	2
20.ნორვიჩი	6	0	0	6	2-16	0

ესპანეთი. ჩემპიონატი

დივიზიონი

სელტა-გრანადა 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	7	5	2	0	21-8	17
2.სოსიედადი	7	5	1	1	10-6	16
3.სევილია	6	4	2	0	10-2	14
4.ატლეტიკო	7	4	2	1	9-6	14
5.რაიო	7	4	1	2	13-7	13
6.ბარსელონა	6	3	3	0	11-5	12
7.ბეტისი	7	3	3	1	11-7	12
8.ვალენსია	7	3	2	2	12-8	11
9.ოსასუნა	7	3	2	2	10-11	11
10.ბილბაო	7	2	4	1	6-4	10
11.ვილიარეალი	6	1	5	0	6-3	8
12.მალიორკა	7	2	2	3	6-12	8
13.სელტა	7	2	1	4	7-10	7
14.ესპანიოლი	7	1	3	3	4-7	6
15.კადისი	7	1	3	3	7-11	6
16.ელჩე	7	1	3	3	4-8	6
17.ლევანტე	7	0	4	3	6-12	4
18.გრანადა	7	0	3	4	5-12	3
19.ალავესი	6	1	0	5	2-11	3
20.ხეტაფე	7	0	0	7	2-12	0

ესპანეთი. სეგუნდა

დივიზიონი

ფუენლაბრადა-კარტახენა 2:1

იტალია. სერია ა

ვენეცია-ტორინო 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	6	6	0	0	16-2	18
2.მილანი	6	5	1	0	12-3	16
3.ინტერი	6	4	2	0	20-7	14
4.რომა	6	4	0	2	14-8	12
5.ფიორენტინა	6	4	0	2	9-9	12
6.ლაციო	6	3	2	1	15-9	11
7.ატალანტა	6	3	2	1	8-6	11
8.ემპოლი	6	3	0	3	9-10	9
9.ტორინო	6	2	2	2	9-6	8
10.იუვენტუსი	6	2	2	2	10-10	8
11.ბოლონია	6	2	2	2	9-14	8
12.უდინეზე	6	2	1	3	6-8	7
13.სასუოლო	6	2	1	3	6-7	7
14.ვერონა	6	1	2	3	11-14	5
15.ჯენოა	6	1	2	3	10-15	5
16.სამპდორია	6	1	2	3	7-10	5
17.სპეცია	6	1	1	4	8-15	4
18.ვენეცია	6	1	1	4	4-11	4
19.კალიარი	6	0	2	4	7-15	2
20.სალერნიტანა	6	0	1	5	4-15	1

საფრანგეთი. ლიგა 2

ტულუზა-კაენი 2:3

ჰოხეუგალია. ჩემპიონატი ლიგა

ფერეირა-ბელენენსეში 2:2

ბოავიშტა-ეშტორილი 1:1

ხუსეთი. ჩემპიონიტეტი

ურალი-არსენალი 2:0

ნ.ნოვგოროდი-ცსკა 0:2

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ქონია 2:2

ტრაბზონი-ალანია 1:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-ოფი 1:1

აპოლონი-იონიკოსი 0:0

ატრომიტოსი-არისი 1:3

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-კრაკოვია 2:4

უკრაინა. ჩემპიონიტეი

ჩერნომორეცი-ინგულეცი 1:1

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-სონდერიისკე 1:0

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-კალმარი 0:2

დეგერფორსი-აიკი 2:1

ჰალმშტადი-სირიუსი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ავიაკომპანია; 2. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. მუსიკალური ნაწარმოები; 12. აეროპორტი სანკტ-პეტერბურგში; 14. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 15. მდინარე ჰამბურგში; 17. დუდუკზე შესრულებული ჰანგი; 18. მიწის ფართობის საზომი აშშ-ში.

თარაზულად: 1. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 7. რაიმეს სახეცვლილება, ნაირსახეობა; 8. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 10. მთავარი მოედანი მილანში; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 16. კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 19. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გუდაუთა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. ბაირამი; 5. ბურგუნდია; 9. მერანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუვა; 17. მანია; 18. ლისი.

თარაზულად: 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. კაჰორი; 10. ნანდუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ისლანდია; 20. ნეგროიდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წუმწუმა; 2. სინოპეკი; 3. ვარძია; 4. ფლეში; 5. საფერავი; 8. ფალსტაფი; 12. ლიდა; 13. კაპიტალი; 14. ლიკუდი; 16. ვოლიერი; 18. ხორგო; 20. პერუ.

თარაზულად: 6. სუფლიორი; 7. გვასალია; 8. ფაგოტი; 9. ხურმა; 10. წეროვანი; 11. ოკულისტი; 15. კალიფორნია; 17. პალაცო; 19. დისპაშერი; 21. ბახმარო; 22. კინოლოგია; 23. პუდინგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.1207

ევრო
— 3.6450

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.2488

100 რუსული
რუბლი
— 4.2953

ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისათვის

რიო ფერდინანდმა სალაჰი შეაქო

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა რიო ფერდინანდმა ლივერპულის ვარსკვლავ მოჰამედ სალაჰზე ისაუბრა და თქვა, რომ სალაჰი ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

ფერდინანდის აზრით, სალაჰს ზოგჯერ სათანადოდ არ აფასებენ:

– ხშირად მესმის სალაჰის მიმართ კრიტიკა და, სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ, რადგან ის ამას ნამდვილად არ იმსახურებს. სალაჰი ერთ-ერთი საუკეთესოა.

სოლსკიაერი რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სოლსკიაერი თავისი გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს და ერთ-ერთი მათგანი ენტონი მარსიალია, რომელმაც ბოლო პერიოდში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

მარსიალი ამ ფაქტის გამო თავის უკმაყოფილებას არ მალავს და, დიდი ალბათობით, ის საფრანგეთში დაბრუნდება.

ბარსელონა სერხი რობერტოსთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს

ბარსელონა თავის ნახევარმცველ სერხი რობერტოსთან ახალ, 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და, სავარაუდოდ, რობერტოს ხელფასი მოიმატებს, თუმცა ამასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, რადგან ბარსელონაში ამჟამად არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობაა.

რობერტომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ბარსელონაში დარჩენა სურს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯიხვმა თავდამსხმელი დათვი მოკლა

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის დასახლება ფილდის მახლობლად ჯიხვმა მოკლა ძუ დათვის გრიზლი, რომელიც მას თავს დაესხა.

70-კილოგრამიანი მტაცებლის ლეში ტურისტმა დასახლება ფილდის მახლობლად გამავალ ბერჯესის ბილიკთან აღმოაჩინა. იმავე დღეს დათვის ლეში შვეულმფრენით შემთხვევის ადგილიდან გადაიტანეს, რათა მას სხვა მტაცებლები არ მიეზიდა.

ორგანიზაცია „კანადის პარკების“ განცხადებით, დაღუპული ცხოველის გაკვეთამ აჩვენა, რომ, დიდი ალბათობით, დათვი ჯიხვმა იმსხვერპლა. ბალახისმჭამელი ცხოველის რქებმა გრიზლის, რომელიც, სავარაუდოდ, მას თავს დაესხა, კისერი და იღლია დაუზიანა, ამან კი მტაცებლის დაღუპვა გამოიწვია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი



29 სექტემბრისათვის

ვერძი – უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **კურო** – ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. დაკავდით სპორტით. **ბყუპები** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. **ლომი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ქალწული** – მშვიდი და პასიური დღეა. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ღრიანკალი** – ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ **თხის რქა** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ახლობელი მამაკაცს ეკითხება:

– არ გაწუხებს ის ფაქტი, რომ ყველა შენი ნაცნობი უკვე დიდი ხანია, დაქორწინებულია?

– როგორ არ მაწუხებს, მაგრამ, არ ვიცი, მათ როგორ დავეხმარო.

●●●

ქალს ეკითხებიან:

– რას გააკეთებთ, თუ თქვენს ქმარს აბაზანაში ეპილეფსიის შეტევა დაეწყება?

– ჭუჭყიან თეთრეულსა და სარეცხ ფხვნილს ჩავუყრი.

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ნუთუ ასე უიმედოა ჩემი ავადმყოფობა?

– რატომ ასე უიმედოდ! მოდით, საქმეს სხვაგვარად მივუდგეთ: თუ მე თქვენ მოგარჩენთ, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული გავხდები!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– კაცო, უკვე ორი დღეა, მეზობლის ქათმები აღარ გამოჩენილან ჩვენს ბოსტანში და ნეტავ რა ხდება?

– რა და გუშინწინ საღამოს კვერცხები ჩუმად დავალაგე პამიდვრების კვალში, დილით კი ჩვენი მეზობლის თვალწინ ავკრიფე, კალათაში ჩავაწყვე და სახლში შემოვიტანე...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, გძინავს?

– არა.

– აბა თვალები რომ გაქვს დახუჭული?

– მხედველობის ეკონომიას ვაკეთებ.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ჩვენს მეზობელ გოგის ეს რამდენიმე დღეა, გამუდმებით ასლოკინებს და რაშია საქმე, ჰა?

– კიდევ კარგადაა...

– რათა, კაცო?

– შაბათს ქორწილში თავისი სიდედრის ტყუპისცალები გაიცნო და, სამი ერთნაირი რომ დაინახა, იმის მერე აუვარდა სლოკინი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია სალომე ზურაბიშვილმა ღირსების მედლით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარიზში ვიზიტისას ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია ღირსების მედლით დააჯილდოვა.

საქართველოს სახელმწიფო ჯილდო მას მოდის სფეროში წარმატებული მოღვაწეობისა და საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის გადაეცა.

აფხაზეთიდან დევნილი დიზაინერის დაჯილდოების ცერემონიალი 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ბალენსიაგას მოდის სახლში გაიმართა.

დემნა გვასალია 1993 წელს 12 წლის იყო, როდესაც სოხუმი დაბომბეს და მისი ოჯახი, ათასობით ადამიანთან ერთად, საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

– 27 სექტემბერი საქართველოს ისტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა. ომის დაწყებიდან 13 თვისა და 13 დღის შემდეგ ამ დღეს დაეცა სოხუმი. მე ვერ ვხვდებოდი, რატომ ტიროდა მაშინ დედაჩემი. 27 სექტემბერი საქართველოში გლოვის, ხსოვნისა და იმედის დღეა! – ამბობს დემნა გვასალია.

მას აფხაზეთის თემაზე კოლექცია აქვს შექმნილი, რომელმაც მოდის მოყვარულებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

ლევან წულაძე: „არ შეიყვაროთ პოლიტიკოსები!“

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე საზოგადოებას მოუწოდებს, არ შეიყვარონ პოლიტიკოსები:

– წადით არჩევნებზე, მაგრამ არ შეიყვაროთ პოლიტიკოსები, არ გიყვარდეთ ისინი, შეხედეთ მათ, როგორც სიდედრი უყურებს სიძეს ან დედამთილი რძალს – ბოროტად. გიყვარდეთ მხოლოდ თქვენი სამშობლო და იფიქრეთ მხოლოდ თქვენს მომავალზე და არა მასზე. ეს ჩემი აზრი არ გეგონოთ, ეს მარკ ტვენის ნათქვამია, თუ არ ვცდები.

მომხრეებიც არ ვიყოთ, ამომრჩევლები ვიყოთ და მერე მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი. ვისაც ვენდე, ყველამ თავი მომჭრა, ამიტომ მირჩევნია, ასეთი მკაცრი პოზიცია მქონდეს, – განაცხადა რეჟისორმა ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემა „მე-17 სართულში“ სტუმრობისას.

რეჟისორი ერეკლე ტრიპოლსკი იუბილარია

რეჟისორი ერეკლე ტრიპოლსკი იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა.

ერეკლე ტრიპოლსკი ცნობილი მსახიობის იაკობ ტრიპოლსკის შვილია, ამიტომაც თითქმის არავის გაჰკვირვებია, როდესაც იუბილარმა ხელოვანმა არჩევანი სწორედ რეჟისორობაზე გააკეთა.

სხვადასხვა წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოსა და სატელევიზიო ლაბორატორიის რეჟისორად, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორად მუშაობდა. წლების განმავლობაში აქტიურად საქმიანობდა სატელევიზიო სივრცეში – ტელეკომპანიებში „მე-9 არხზე“, „მზეზე“, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, „ერთსულოვნებაზე“.

ერეკლე ტრიპოლსკიმ საკუთარი შესაძლებლობები პოლიტიკაშიც ცადა – „ქართული ოცნებიდან“ მერვე და მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

11 წლის პატარძლისა და 12 წლის სიძის ნიშნობა ბოლო წამს ჩაშალეს

ეგვიპტის ქალაქ ელ-ჰავამედიას მახლობლად მდებარე სოფელში პოლიციამ 11 წლის პატარძლისა და 12 წლის სიძის მშობლები დააკავეს და ბავშვების ნიშნობა ბოლო წამს ჩაშალეს. დღესასწაული, რომელიც ორმა ოჯახმა მოაწყო, მას შემდეგ ჩაიშალა, რაც საიუველირო მაღაზიამ, სადაც სიძე-პატარძლის მშობლებმა ოქროს ბეჭდები შეიძინეს, ამის ამსახველი ფოტოსურათები ფეისბუქში გამოაქვეყნა.

ფოტოსურათებმა ვირუსული პოპულარობა შეიძინა და პოლიციის ყურადღება მიიპყრო. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ბავშვების მშობლებს მიაგნეს და მათი დანიშვნის გამოცხადებამდე მცირე ხნით ადრე დააპატიმრეს. დაწყებულია საქმის გამოძიება.

ეგვიპტეში კანონით ქორწინება 18 წლის ასაკიდანაა ნებადართული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბაზრის ძველი სახელწოდება საქართველოში; 2. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 3. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 4. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ჯიში; 5. ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 8. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 14. მოკლე, გონებამახვილური გამონათქვამი; 16. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი; 20. წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი.

თარაზულად: 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური იაპონიაში; 7. ეკოლოგთა, ბუნების დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; 9. ილეთი ჭიდაობაში; 10. ცნობილი ქართველი ეპიდემიოლოგი, აკადემიკოსი; 11. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 15. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 19. აეროპორტი ერევანში; 21. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 22. ბრიტანელი პოლიციელი; 23. პარიზის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა